ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

25 იანვრიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ნიკო ფიროსმანი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



პარასკევი, 25 იანვარი, 2013 №20 (6021) ფასი: 30 თეთრი

ილია II: „საქართველომ და რუსეთმა შეცდომების გამოსწორება უნდა დაიწყონ“

გვ.4

ირაკლი ქადაგიშვილი: „პროკურატურა და პოლიცია არც ივანიშვილის დაკვეთას უნდა ასრულებდეს და არც სააკაშვილის!“

გვ.3



„ზალოგში“ ჩადებული დარიალის ხეობა და 1 ლარად გასხვისებული მთა გერგეტში

გვ.4

„კოალიცია გადაწყვეტს, ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი“

გვ.6

აკაკი ასათიანი: „სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო ვადა უნდა დაასრულოს!“

გვ.2

რატომ უნდა ვთქვათ უარი პრეზიდენტის იმპიჩმენტზე

ვინ უნდა აკონტროლოს სკოლები

გვ.5

23 იანვრიდან!
„ახალი თაობა“ +
მარია კიური
8 ლარი



9 771987 938006

6 საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელმა შეიძლება არ გაამართლოს

4 ჯონდი ბაღათურია: „ქართულ ოცნებაში“ შიდა დაპირისპირება ქვეყანაზე ცუდად იმოქმედებს“

2 რკინიგზის საქმეს პროკურატურა შეისწავლის

3 ბინათმოსარგებლეები შიმშილობას იწყებენ

აკაკი ასათიანი: „სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო ვადა უნდა დაასრულოს!“

რატომ უნდა ვთქვათ უარი პრეზიდენტის იმპიჩმენტზე

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

– ბატონო აკაკი, არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. თუმცა, ვიდრე საშინაო პოლიტიკაზე ვისაუბრებდეთ, მოდით, პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა შევაფასოთ ევროპარლამენტში.

– ეს იყო ოპოზიციონერი ლიდერის გამოსვლა. არანაირად არ ჰგავდა პრეზიდენტის გამოსვლას. არ შეიძლება, პრეზიდენტი ასეთი სიტყვით გამოდიოდეს ქვეყნის გარეთ და საქმეს ურჩევდეს ხელისუფლებას. ცნობილია, რომ ოპოზიცია ხარ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ქვეყნის პრეზიდენტი გქვია. მე ვფიქრობ, უფრო თავშეკავებული და ზომიერი უნდა ყოფილიყო. ქვეყნის მომავალზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი და არა იმაზე, რაზეც მან ისაუბრა.

– რაღაცა მაბეზღარის როლში გამოვიდა.

– კი, ასე გამოვიდა. მე მგონია, რომ არასწორი მოქმედება იყო.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად უგებს სააკაშვილი ახალ ხელისუფლებს საგარეო პოლიტიკაში?

– მოგებასაც ვერ დავარქმევ. ჩვენ ვხედავთ, რა პროცესებიც მიმდინარეობს, თანდათან ყველაფერი გამოიკვეთება. ძირითადად იმავე კურსზეა ლაპარაკი, ყოველ შემთხვევაში, დეკლარირებულია ევროკავშირი და ევროატლანტიკური სივრცე. საგარეო პროპაგანდაში იმდენად კი ვერ უგებს, რამდენადაც აქვს დიდი ხნის კონტაქტები, საკმაოდ ინტენსიური. ყოველთვის ითვლებოდა, რომ სააკაშვილი მათი კაცი იყო და ახლა ვალს იხდიან, რაღაც ანგარიშს უწევენ, თორემ პოლიტიკური თვალსაზრისით რაიმე წარმატებები ჰქონდეს სააკაშვილს, ასე არ არის. ხელისუფლება სწორ კურსს ადგას და ეს თანდათან კიდევ უფრო გამოიკვეთება.

– მხარდამჭერები რომ ჰყავს სააკაშვილს ევროსაბჭოში, ფაქტია. კითხვებსაც კი ისეთი ფორმით სვამდნენ, რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ყველაფერი წინასწარ იყო შეთანხმებული.

– კი, რა თქმა უნდა. ჩვენ ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ იქ ვინმემ რამე არ იცის და გინდაც სააკაშვილისა და გინდაც დღევანდელი ხელისუფლების გამოსვლის შემდეგ აღმოაჩენს ამას. ასე არ არის, ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცის. ვითარება იციან და ყველა თავისი ამოცანების მიხედვით მოქმედებს.

– უმრავლესობის პოზიციას და მათ გამოსვლას რა შეფასებას მისცემდით?

– მე ვთვლი, რომ სწორი ქნეს, თავი რომ შეიკავეს, არ გაამწვავეს იქ სიტუაცია და კინკლაობა არ დაიწყეს. აბსოლუტურად სწორი ქნეს. მთავარი რაც იყო, რეზოლუციაზე გაამახვილეს ყურადღება და ჩაიწერა მნიშვნელოვანი პუნქტები. მოდით, დავივიწყოთ ის, რაც უმცირესობამ თქვა და აი ამ მთავარზე გავამახვილოთ ყურადღება. რეზოლუცია ჩვენთვის ნამდვილად კარგი იყო. მთავარიც ეს არის და ეს ახალი ხელისუფლების დამსახურებაა. სწორი ქნეს, რომ თავისმართლების პოზიციაში არ ჩადგნენ, ეს მაინც კინკლაობის სახეს მიიღებდა. მე მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ აი სუსტად გამოიყურებოდნენ, არ უპასუხეს ისე როგორც საჭირო იყო. რა უნდა ექნათ? იქ ისტერიკა უნდა მოეწყოთ? სწორი ქნეს ნამდვილად. კინკლაობის დრო იქ არ იყო.

– ბატონო აკაკი, რადგან საგარეო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, მოდით, ჩვენი პატრიარქის ვიზიტიც შევაფასოთ რუსეთში. როგორი იქნება თქვენი შეფასებები? ამბობენ, რომ საკმაოდ დადებითი ტენდენციები წამოვიდა ამ კუთხით.

– ძალიან მნიშვნელოვანია. სულ ვამბობდი ამას, რომ პატრიარქს ამის საშუალება ჰქონოდა. ჩვენ ვიცით პატრიარქის პოზიცია და მე არ მეგულება ადამიანი ამაზე მტკიცე დამცველი ქვეყნის სუვერენიტეტის, თავისუფლების, დამოუკიდებლობის და ამავე დროს ასეთივე მიზანდასახული და პასუხისმგებელი, რომ მოგვარდეს პრობლემები, რომელიც ჩვენს ქვეყანას პირდაპირ ხუთავს. ცარიელი სიტყვები კი არ არის ის, რაც ითქვა პატრიარქის დაბადების დღეზე სტუმრების მიერ. მას აქვს უდიდესი ავტორიტეტი მართლმადიდებლურ სამყაროში. თქვენ წარმოიდგინეთ, არა მარტო ქრისტიანულ სამყაროში. ირანში ვიზიტის დროსაც, მე რაც ვიცი, უდიდესი მოწიწებით და პატივისცემით მიიღეს. თქვენ ხედავთ, რომ აქაც ჩამოდიან მუსლიმის საკმაოდ მაღალი რანგის სასულიერო პირები და რამხელა პატივისცემას იჩენენ ჩვენი პატრიარქის მიმართ. ეს ყველაფერი არის მისი პიროვნული ღირსებებით გამოწვეული. რუსეთში მის მიმართ არის ძალიან დიდი პატივისცემა. მოსწონდა ეს ვინმეს თუ არ მოსწონდა, ასეა და ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო ფაქტორი, თუ ვინმეს უნდოდა ამის გამოყენება. ძალიან დიდი პატივისცემა იყო, არის და იქნება კიდეც.

– უბრალოდ, გასაქანს არ აძლევდა ახალი ხელისუფლება, რომ ემოქმედა?

– რასაკვირველია. ხომ გახსოვთ, რამდენი ვიზიტი დაიგეგმებოდა, იმდენი ატყდებოდა წივილი, კივილი. პატრიარქს ამითი არაფერი უშავდებოდა, გარდა რაღაცა უსიამოვნებისა, მაგრამ ქვეყნისთვის არ მოჰქონდა ამას კარგი არაფერი. მე მგონი, ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან დადებითია და ამას მოჰყვება ალბათ სერიოზული შედეგები.

– მისი სიტყვა ყოველთვის ღია და პირდაპირია და ის ხაზს უსვამს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

– რასაკვირველია, არც მოერიდება, პატრიარქი სულ ახალგაზრდა იყო, ახალი აღსაყდრებული იყო, რომ შეიყვანეს მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში და მაშინ დაგმო საბჭოთა კავშირის აგრესია ავღანეთის მიმართ. მაშინ არ მორიდებია და ახლა მოერიდება? პატრიარქს აქვს მკაფიო პოზიცია, ერთი მხრივ, ქვეყნის სუვერენიტეტი, მისი მთლიანობა და, მეორე მხრივ, ის თვლის, რომ უნდა მოგვარდეს ურთიერთობა ჩვენს მეზობელთან, ისეთ მეზობელთან, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოა თავისი ტერიტორიებით. ჩვენთან გეოგრაფიასთან ცოტა მწყრალად არიან, დაპატარავდა რუსეთიო... სამხედრო მნიშვნელობით მეორე სახელმწიფოა ჯერ კიდევ და ჩვენთვის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე უკვე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტია. მე დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ასე იქნებოდა.

– შედეგები როგორი მოჰყვება?

– ეს გამოყენებაზეა და, მგონი, ეს ხელისუფლება ამას გამოიყენებს, რა თქმა უნდა. ყოველთვის შეიძლებოდა ეს და მე გული სწორედ ამაზე მწყდება.

– ბატონო აკაკი, რაც შეეხება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, თქვენთვისაც ცნობილია, რომ დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი მოჰყვა ირაკლი ალასანიას მიერ ვიცე-პრემიერის პოსტის დატოვებას. თქვენ როგორ გაიგეთ პრემიერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

– მე არ მივანიჭებდი ამას დიდ მნიშვნელობას. ეს სხვა ტიპის ხელისუფლებაა, ივანიშვილიც სულ სხვა ტიპის პოლიტიკოსია, ღია და პირდაპირი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც საშინელება მოხდა. სხვა ხელისუფლებებში ამას ექნებოდა რაღაცა ძირეული, რაღაცა განხეთქილებაზე შეიძლებოდა გველაპარაკა, აქ ეს არ არის. ეს ადამიანი პირდაპირ გამოხატავს ხოლმე თავის დამოკიდებულებებს და იმის იქით არაფერია. ახლა თავდაცვის მინისტრს პირობითად თუ ექნებოდა ეს პოსტი, თორემ იმდენი საქმე აქვს მას, რომ ისე შეუძლებელი იყო რეალურად შეეთავსებინა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ორი პოსტი შეუთავსებელი იყო?

– მე მგონია, რომ საერთოდ შეთავსებები ვიცეპრემიერობის ასე ტიტულივით თუ დაემატება, თორემ ისე ჯობია, თავისუფალი ვიცე-პრემიერი ჰყავდეს, რომელიც, ვთქვათ, შეეცვლება ვიზიტების დროს, ელემენტარულად, ამ ფუნქციით. ამ შემთხვევაში ასე არ არის. მე ვფიქრობ, რომ დიდი არა, მაგრამ პატარა პრაქტიკული პრობლემები იყო. ასევე იქ სხვადასხვა პოზიციაც არის ქვეყნის პოლიტიკურ წყობასთან დაკავშირებით, მათ სხვადასხვა შეხედულება აქვთ, რაც, მგონი, არ გახდება შინა ომის მიზეზი. არ არის საქმე ასე.

– რადგან ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა ახსენეთ, თქვენი შეხედულებები როგორია ამასთან დაკავშირებით?

– მე საპარლამენტოს მომხრე ვიყავი ყოველთვის. ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ დაგვიდასტურა, რომ ეს არის მმართველობის საუკეთესო ფორმა. რა შესწორებებიც არ უნდა მოიფიქროს უმრავლესობამაც, თუნდაც ის, რაზეც დღეს საუბრობენ, ეს შესწორებებიც ისეთია, რომ ისიც გამოიწვევს პრობლემებს. პრინციპულად უნდა გადადგეს. საუბარია იმაზე, რომ სააკაშვილმა შეიძლება ისარგებლოს თავისი უფლებამოსილებით, თუმცა, მე მგონია, რომ არ იზამს ამას. სააკაშვილი სულელი არ არის, ის არის ექცენტრული ადამიანი. ის ხელმძღვანელობს ხოლმე უშუალო რეაქციებით, რაც ძალიან წამგებიანია პოლიტიკისთვის. მე მხარს ვუჭერ ამ ხელისუფლებას, მაგრამ ის ცვლილებები, რომლის შეტანასაც გეგმავენ, უაზროა.

– თქვენ არ ეთანხმებით ამ ინიციატივას?

– ეს ცვლილებებიც არანაირ გარანტიას არ იძლევა. სააკაშვილი გიჟია და კაცმა არ იცის, რას იზამსო.

– თავდაცვისთვის ხდება ესო...

– ჰო, მაგრამ არ არის სწორი თავდაცვა. არ არის თავდაცვის დრო. ვისგან იცავენ თავს?!

– მაშინ როგორ უნდა იმოქმედონ? იმპიჩმენტი?

– არა, კაცო, რა იმპიჩმენტი. ითქვა იგივე ივანიშვილისგან, რომ დასავლეთი კატეგორიულად მოითხოვს და იყოს, დაასრულოს ვადა. დაასრულოს, კი ბატონო. უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია და ფუნდამენტური ცვლილებების კი არა, პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბდეს კონსტიტუცია, რეალურად ახალი. საპარლამენტო რესპუბლიკისკენ მიმავალი ან არმიმავალი. იმსჯელონ ამაზე და სერიოზული სახე და ფორმა მივცეთ. ჩარჩოებში მოვაქციოთ. ხედავთ, რომ ყოველი ახალი ხელისუფლების მოსვლა იწვევს ცვლილებებს კონსტიტუციაში. დავამთავროთ ეს ერთხელ და სამუდამოდ. ჩამოვაყალიბოთ ერთხელ და სამუდამოდ კონსტიტუცია, ცვლილებების შეტანა არაფერს უშველის. ხედავთ უკვე, რა ნაკლოვანებები აქვს. არის კოლიზია, არა აქვს რეალური ძალაუფლება. მე რომ მკითხოთ, ეს თამაშია გუბერნატორების დანიშვნა, მაგრამ ვიღაცა თვლის, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ის რაღაცას იზამს, დაითხოვს მთავრობას, დანიშნავს თავის ხალხს. მე მგონია, რომ ამას არ იზამს.

– და რომ ქნას, ბატონო აკაკი?

– და იმ ცვლილებებით რომ ქნას, რაც იქ წერია?! ნახეთ ის ცვლილებები, იქაც საკმაოდ აბდაუბდა რაღაცები წერია, სიმართლე რომ ითქვას. კი ეცადნენ, მწყობრი სახე მიეცათ. მერე გვიკვირს, უცხოელები რომ ამბობენ, ეს კეთდება სპეციალურად სააკაშვილის წინააღმდეგო. ასეთი შთაბეჭდილება დარჩება ადამიანს ნებისმიერ შემთხვევაში, ესეც ფაქტია. ამიტომ მოხდეს ფუნდამენტური ცვლილება და იქ არც სააკაშვილზე და არც ნაციონალურ მოძრაობაზე ლაპარაკი არ იქნება. ნახეთ ჯერ, ადგილებზეც რა ხდება. პირდაპირ რეალური თვითმმართველობა ხსნის ამ პრობლემას. ეს ხომ ვიცი მე, ეს ჯერ კიდევ ჩვენ გვჭირდა 22 წლის წინ. როცა ინიშნებიან, ყოველთვის ასეა, მიდის შიდა ბრძოლები, იქ სხვა ჯგუფია და ასე შემდეგ. ეს არ დამთავრდება და ქვეყანას ამდენი პრობლემა აქვს. ამიტომ მარტივად უნდა გადაწყდეს, რა ტიპის მმართველობა გვაქვს, იმის მიხედვით აირჩეს და იმ ადამიანების არჩევანი იქნება, იქ მცხოვრებლების და არ იქნება მომხრე და მოწინააღმდეგე დაჯგუფებების ფიზიკური ბრძოლები ადგილებზე. ვიმეორებ, სერიოზულად არის ეს ყველაფერი გასაკეთებელი და მერე ვეღარავინ იტყვის, რომ ეს კეთდება ერთი პარტიისა და ერთი გუნდისთვის.

რკინიგზის საქმეს პროკურატურა შეისწავლის

ნათია ხურცილავა

საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძე რკინიგზის წინა ხელმძღვანელობის მიერ დიდი ოდენობით თაღლითური გზით სახელმწიფო ფინანსების მითვისებაზე საუბრობს.

„საქართველოს რკინიგზა“ მთავარ პროკურატურას რკინიგზასა და ვაგონშემკეთებელ კომპანიას შორის 2012 წლის 7 ივნისს, პირდაპირი მოლაპარაკების გზით დადებული კონტრაქტის შესწავლის მოთხოვნით მიმართავს. საუბარია 140 353 853-ლარიან ხელშეკრულებაზე. მანამდე კი, „საქართველოს რკინიგზა“ ვაგონშემკეთებელ კომპანიასთან ყოველგვარ ტრანშს აჩერებს. აღნიშნული განცხადება რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა კოკა გუნცაძემ საგანგებო პრესკონფერენციაზე გამართა.

გუნცაძის განცხადებით, სახეზეა

თაღლითური გზით დიდი ოდენობით სახელმწიფო ფინანსების მითვისება, რის გამოც ის პროკურატურის დაინტერესებას ითხოვს.

კოკა გუნცაძე საქმის ისტორიას ჟურნალისტებს უყვება და ის კონკრეტული ადამიანის გვარს ასახელებს.

– 2012 წლის 7 ივლისს, საქართველოს რკინიგზასა და ვაგონშემკეთებელ კომპანიას შორის ერთ პირთან მოლაპარაკების გზით დაიდო კონტრაქტი, რომლის საერთო მოცულობა 112 მილიონ 353 ათას 852 ლარს შეადგენდა. საქმის პრეისტორია კი ასეთი იყო: 2012 წლის 21 აპრილს, საქართველოს რკინიგზის საბჭომ თავისი დადგენილებით მიზანშეწონილად მიიჩნია, გარკვეული მომსახურების შესყიდვა, რომლის საერთო მოცულობა 342 მილიონ 674 ათას 108 ლარი იყო. ეს მოიცავდა 210 ახალი ხორბალმზიდის, 950 ვაგონცისტერნის და 117 ვაგონის კაპიტალურ შეკეთებას, 2012 წლის 4 მაისს, აღნიშნულ საკითხზე გამოცხადდა ტენდერი, რომელიც თვე-ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა და ამ პერიოდში სატენდერო პირობები რამდენჯერმე შეიცვალა. კერძოდ, შეიცვალა შესასყიდი ობიექტების რაოდენობა, თანხის მოცულობა, ვალდებულების დაფარვის გრაფიკი და ანგარიშსწორების წესი და ვადები. საბოლოოდ, სატენდერო ღირებულების მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 112 მილიონ 353 ათას 852 ლარით. 2012 წლის 2 ივლისს ტენდერი გაურკვეველი მიზეზით ჩაიშალა, თუმცა 5 დღის შემდეგ, საქართველოს რკინიგზამ ერთ პირთან მო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ქადაგიშვილი: „პროკურატურა და პოლიცია არც ივანიშვილის დაკვეთას უნდა ასრულებდეს და არც სააკაშვილის!“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილთან

– გილოცავთ თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარედ არჩევას. მინდა გკითხოთ, პარტიის პოლიტიკური გეგმების შესახებ კოალიციასთან ერთად და დამოუკიდებლად, ეს საკითხი განიხილება?

– ჩვენი პარტია აქტიურად მუშაობს როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტის ფრაქციაში. კოალიციური რეჟიმი ჩვენი მუშაობის მთავარი მიმართულებაა, ჩვენ თანაბრად ვიღებთ პასუხისმგებლობას იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ატარებენ პრემიერი, მთავრობა და პარლამენტი. მეორე მხრივ, პარტია, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ისეც ვითარდება. დღეს ჩვენი მთავარი საზრუნავია პარტიის რიგების გაზრდა, რაიონული ორგანიზაციების შექმნა და გაძლიერება.

– სხვადასხვა სოციოლოგიურ კვლევებში, რომლებიც საპრეზიდენტო კანდიდატებს ეხება, ირაკლი ალასანია ლიდერობს. როგორია თავისუფალი დემოკრატების პოზიცია ირაკლი ალასანიას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით?

– გეთანხმებით, რომ ირაკლი ალასანია საქართველოში ავტორიტეტით სარგებლობს, რაც ჩვენთვის საამაყოა. ის ჩვენი პარტიის პოლიტიკური ლიდერია. რაც შეეხება იმ საკითხს, გახდება თუ არა ბატონი ირაკლი პრეზიდენტობის კანდიდატი, ჩვენ ამაზე კონკრეტული პასუხი არ გაგვაჩნია. ეს საკითხი კოალიციის შიგნით უნდა გადაწყდეს.

– რესპუბლიკელები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად მიიღონ. ხომ არ აპირებთ თავისუფალი დემოკრატებიც დამოუკიდებლად მონაწილეობას ამ არჩევნებში და არის თუ არა კოალიციის შიგნით კონკურენცია?

– როცა ბატონი ბიძინა ჩვენს ყრილობაზე ბრძანდებოდა, ითქვა, რომ ჩვენ უნდა მივიდეთ იმ პოლიტიკურ გარემომდე, არჩევნების ჩატარების იმ კულტურამდე, როცა თავისუფალი თანაბარი და ღია კონკურენცია იქნება პოლიტიკურ ძალებს შორის და პირველ რიგში კოალიციაში მყოფ ძალებს შორის. თუ ეს მიზანი მიღწეულ იქნა 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე, ჰიპოთეკურად არ გამოვრიცხავ, რომ კოალიციის სუბიექტებმა დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ამაზე დღეს ზუსტი პასუხის გაცემა გამართლებული არ არის. ვნახოთ, 2014 წელს ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი როგორი იქნება.

– საგარეო პოლიტიკას მინდა შევეხოთ. სომხეთში ვიზიტის დროს პრემიერმა განაცხადა, რომ საქართველოს თეთრი შურით უნდა შურდეს სომხეთისა და მისი საგარეო კურსის. იქვე ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის საკითხი იქნა განხილული. ივანიშვილმა არ გამორიცხა იმის შესაძლებლობა, რომ პროექტის რეალიზება მოხდეს. გაჩნდა კითხვა, ხომ არ იცვლება საქართველოს საგარეო ვექტორი ჩრდილოეთის მიმართულებით?

– მე ამას გამოვრიცხავ, მაგრამ ჩვენ ნელნელა უნდა გამოვიდეთ საგარეო პოლიტიკის დემონიზაციიდან, როცა გადაწყვეტილებების რაციონალურად მიღების საშუალება არ გვქონდა. საკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ გაუაზრებელი პოლიტიკით ვერ მოახერხეს რუსეთთან ურთიერთობების იმ დონეზე წარმართვა, რომ საქმე ომამდე არ მისულიყო, მოახდინეს რუსეთის ფაქტორის დემონიზაცია. ჩვენ რომ იმავე მიმართულებებითა და კლიშეებით გავაგრძელოთ საგარეო პოლიტიკის წარმართვა, შესაძლოა, ახალ კონფლიქტამდე მივიდეთ. ახალი ხელისუფლება და კოალიცია აცხადებს, რომ ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი დასავლეთთან ინტეგრაციაა, ამის პარალელურად, სისხლხორცეულად დაინტერესებული ვართ, რომ რუსეთთან ურთიერთობები დალაგებული გვქონდეს. ეს ეხება სავაჭრო, კულტურულ და ადამიანურ ურთიერთობებსაც. საქართველო უნდა იყოს არა დაპირისპირებების ხაზი ნატოს, რუსეთსა და დასავლეთს შორის, არამედ საქართველო უნდა იყოს სტაბილურობისა და თანამშრომლობის ხაზი დასავლეთსა და რუსეთს შორის. საგარეო პოლიტიკის წარმართვის დასავლური კულტურა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რაციონალური და კარგი ურთიერთობა უნდა დავამყაროთ ყველა ჩვენს მეზობელთან. იმავე ჭრილში განიხილება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის საკითხიც. საქართველოს ეროვნული ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა იმ პროექტში, რომლებიც საქართველოს გავლითა და მისი მონაწილეობით ხორციელდება. ნებისმიერ დასავლელ მკვლევარს, კონფლიქტების სპეციალისტს რომ ჰკითხოთ, დაგიდასტურებთ, რომ ეკონომიკური და ადამიანური ურთიოერთობების მოგვარება ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა კონფლიქტების, მათ შორის პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით.

– კოალიციის შეცდომებზე მინდა გკითხოთ. საკადრო პოლიტიკა დისკუსიისა და კრიტიკის საგანია არა მარტო თქვენს პოლიტიკურ ოპონენტებში, არამედ კოალიციისადმი კეთილგანწყობილ საზოგადოებაშიც. შსს-სა და პროკურატურის სტრუქტურებში მუშაობენ როგორც სააკაშვილის დროინდელი პროკურორები და გამომძიებლები, ასევე შევარდნაძის პერიოდის ადამიანებიც არიან მიწვეული. დაზარალებულებსა და მოწმეებს უწევთ საქმის ძიების დროს იმავე პროკურორთან ურთიერთობა, რომელიც ადრე სუბიექტურად იძიებდა საქმეს. ეს მტკივნეული თემაა. როგორია თქვენი აზრი საკადრო პოლიტიკის თაობაზე?

– ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ ამა თუ იმ პროცესის შეფასების დროს. მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, ვითარება მაინც სტაბილურია და პროგრესი არის. ჩვენ სულ ვტრიალებთ შევარდნაძისა და სააკაშვილის ეპოქებში. ოთხმილიონიან ერში 800 ათასამდე პენსიონერია, არიან არასრულწოვნები, ასევე კერძო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები. ფართო საკადრო ველი, ჩვენდა სამწუხაროდ, არა გვაქვს. ამიტომ არის საუბარი იმაზე, რომ სამართალდამცავი და ადმინისტრაციული ორგანოები პოლიტიზაციისგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავათავისუფლოთ. პროკურორი აღასრულებს კანონს და არ ასრულებს არც ივანიშვილის დაკვეთას და არც სააკაშვილისას. პოლიცია და პროკურატურა სააკაშვილის დროს გადაქცეული იყო პოლიტიკური დევნის მექანიზმად. დღეს ამის ერთი ხელის მოსმით აღმოფხვრა ძალიან ძნელია. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სამართალდამცავი ორგანოები აღარ იყოს პოლიტიკური დევნისა და ადამიანების პირად ცხოვრებაზე თვალთვალის უწყებები. ყველას უნდა მიეცეს იმის შანსი, რომ ახალ რეალობაში იმუშაოს. ვინც ამ ახალ რეალობას არ გაითვალისწინებს და ძველებური მეთოდებით იმუშავებს, შესაბამისად მოეკითხება. ფატალური და გამოუსწორებელი შეცდომები, საბედნიეროდ, არ დაგვიშვია. თუმცა ცალკეული რეციდივები არის, მაგრამ ტენდენცია დემოკრატიული მმართველობის ფორმების ჩამოყალიბებისაკენ არის და ეს უნდა აღინიშნოს.

– ადგილობრივ ორგანოებში არსებულ მწვავე პროცესებზე მინდა გკითხოთ. კონფლიქტები ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მიდის, ნაცმოძრაობა წინააღმდეგია, საკრებულოები და გამგეობები ვადაზე ადრე გადაირჩეს. კოალიციას ხომ არ ეშინია იმის, რომ ნაცმოძრაობის აქტივისტი გამგებლები და საკრებულოების ხელმძღვანელები საბოტაჟით შეუშლიან ხელს?

– ადგილობრივი თვითმმართველობები ჩვენთვის საქართველოში გლობალური პრობლემაა და გეტყვით რატომ – საქართველოში ამას მხოლოდ სახელი ჰქონდა თვითმმართველობა, რეალურად კი ის თვითმმართველობა არასოდეს ყოფილა. ეს სისტემა მოქკავშირმა და შემდეგ ნაცმოძრაობამ ჩამოაყალიბეს. რეალურად თვითმმართველობები იმართებოდა ქვეყნის ცენტრიდან, პრეზიდენტის მიერ. 2014 წლის არჩევნებისთვის ვემზადებით და კოალიციის სურვილია, ეს არჩევნები სამაგალითოდ დემოკრატიული იყოს. კანონი უნდა შეიცვალოს და არჩევითი უნდა იყოს ყველა დონის ორგანო. სააკაშვილის დროიდან არჩეულ საკრებულოებში ახლა ცვლილებები მიმდინარეობს, თავად იქ ხდება გადაჯგუფებები, ახალი ფრაქციები ყალიბდება, ეს კი მტკივნეული პროცესია. ამიტომ არის, რომ ამ პროცესს კონფლიქტები ახლავს.

– სააკაშვილმა მესამედ წარუდგინა შეთავაზებები პრემიერ ივანიშვილს კოალიციის მოთხოვნით. ორ მაგალითს დაგისახელებთ: უცხოური ინვესტიციები აღარ შემოდის და ერთობლივად გადავჭრათ ეს პრობლემაო, ასევე სამხედრო მოსამსახურეების პენსიების გაორმაგების ინიციატივით გამოვიდა, ამასობაში კი ივანიშვილი ამ ინიციატივებს არ პასუხობს. საინტერესოა, რატომ უგულებელყოფს ამ შეთავაზებებს ივანიშვილი?

– დღეს სააკაშვილის გადასაწყვეტი აღარ არის სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასები და პენსიები. ამის თაობაზე განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. მინისტრთა კაბინეტმა ამ საკითხზე იმსჯელა. სააკაშვილის ეს განცხადება პოპულიზმია. მას შეეძლო, ეს ინიციატივები განეხორციელებინა, როცა მთავრობა მისი იყო. მას ასდოლარიანი პენსია ცხრა წლის წინ უნდა შემოეღო. აქამდე უნდა შემოეტანა ინვესტიციები. ახლა ფეხს ნუ დაუდებს მთავრობას, რომელიც სამი თვეა მხოლოდ, რაც ხელისუფლებაშია, შავ პიარს საზღვარგარეთ მოეშვას, ხელი აიღოს ქვეყნის შიგნით პროვოკაციულ განცხადებებზე, დააკვირდეს იმას, რომ ხუთი წლით არის არჩეული ხალხის მიერ, რატომღაც მისი საკანონმდებლო ფოკუსების გამო ხუთი წლითა და ათი

თვით უნდა გაიგრძელოს საპრეზიდენტო ვადა.

– თქვენ აღიარებთ, რომ სააკაშვილმა გაიგრძელა საპრეზიდენტო ვადა, მაგრამ, მინდა გაგახსენოთ თქვენი კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის გასული წლის ბოლო პრესკონფერენციაზე გაკეთებული კომენტარი, რომ ახალი ხელისუფლება არ დააყენებს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას. ეს საკითხი თითქოსდა არ განიხილება, მაგრამ საზოგადოება განიხილავს ამას და მოითხოვს, აღდგეს საკონსტიტუციო სამართლიანობა. ამაზე რას იტყვით?

– მე ჩემი პირადი აზრი მაქვს, კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტს ვირჩევთ ხუთი წლით, მან კი პოლიტიკური ფოკუსებით ეს ვადა გაიგრძელა, მაგრამ კოალიციას ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება სურს და, როცა ამ საკითხს არ ვაყენებთ, სწორედ ამ არგუმენტით ვხელმძღვანელობთ. ძალდატანებით არ გვინდა არჩევითობის ციკლის შეცვლა. არასტაბილური გარემოს შექმნას ვერიდებით.

– სააკაშვილი არ ერიდება სანაცვლოდ არასტაბილურობის შექმნას და გაზაფხულიდან პოლიტიკური ვითარების არევაზე არაერთხელ გაკეთდა განცხადებები. ემზადებით სავარაუდო ექსცესებისთვის?

– სააკაშვილი ვერანაირ არასტაბილურობას ვერ შექმნის. თავისი ხასიათიდან გამომდინარე აკეთებს განცხადებებს, რომ სიტუაცია არიოს, მაგრამ მას არ ძალუძს პროცესების მართვა საქართველოში.

– სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაციები იმაზე, რომ მინისტრები საკუთარ თავს პრემიებს უწერენ. ახლახან ჟურნალისტებიც გამოეხმაურნენ ამ თემას. რის გამოც წინა ხელისუფლების მინისტრებს ვაკრიტიკებდით, ახლა სამი თვის მოსულმა მინისტრებმა დაიწყეს. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?

– საჯარო სახელმწიფო მოხელეების ხელფასებსა და პრემიებს კანონი არეგულირებს. თუ ისინი ხელფასის ან პრემიის მიღებისას არღვევენ კანონს, ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა მოეთხოვოთ და ხელმოწერა იმიტომ არის, რომ მინისტრია იმ თანამდებობის პირი, რომელიც ასეთი ტიპის დოკუმენტებს ხელს აწერს. მისთვის პრემიის გამოწერას ვინ უნდა მოაწეროს ხელი?

– პრემიერ-მინისტრი არ უნდა აწერდეს ხელს მინისტრის კარგი მუშაობისთვის პრემიის გამოწერასთან დაკავშირებულ დოკუმენტს?

– არა, ეს კანონით არის დარეგულირებული.

– მაშინ რაზე ვედავებოდით სააკაშვილის მინისტრებს?

– აქ საუბარია იმაზე, ხელი ვინ უნდა მოაწეროს. ხელს აწერს ის, ვისაც კანონით ეკუთვნის. აქ გამოსაკვლევია, ეს დოკუმენტი კანონიერად შექმნა თუ უკანონოდ.

– მინისტრები თავიანთ შრომას აფასებენ. ამ სამ თვეში ადრე ხომ არ იყო შრომის დაფასება და პრემიების გამოწერა?

– არ ვიცი, ვინ გამოიწერა, ზოგადად იმიტომ გპასუხობთ.

– თუ არ ვცდები, თეა წულუკიანზე იყო საუბარი.

– ვერ გეტყვით, ზოგადად არსებობს წესი, კანონი. თუ არის გადაცდომა ამ კანონიდან, ეს უნდა გახდეს კონკრეტული განხილვისა და შესწავლის საგანი.

– იგორ გიორგაძე, კახა თარგამაძე, ლევან მამალაძე და სააკაშვილის მიერ განდევნილი სხვა პირები საქართველოში ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამენ. როგორია თქვენი პოზიცია მათ დაბრუნებაზე?

– ჩვენ ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, რომ საქართველოდან არ გარბოდნენ ჩვენი თანამემამულენი, ხელისუფლების ცვლას არ უნდა მოჰყვებოდეს ქვეყნიდან ხალხის გაქცევა. საქართველოში უნდა დაბრუნდეს ყველა ის ქართველი, რომელიც აქ ცხოვრობდა. თუ სასამართლოს წინაშე პასუხი აქვთ საგები კონკრეტულ საქმეზე, პასუხი სწორედ ქართული მართლმსაჯულების წინაშე უნდა აგონ, არ აქვს მნიშვნელობა, ეს კახა თარგამაძე იქნება თუ ზურაბ ადეიშვილი.

ბინათმოსარგებლეები შიმშილობას იწყებენ

შორენა გონგლაძე

სახელმწიფო კანცელარიასთან უკვე რამდენიმე დღეა ბინათმოსარგებლეები აქციას მართავენ. ისინი ტრადიციულად საცხოვრებელი ფართების დაკანონებას მოითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ წევრებისთვის ეს საკითხი მათ საარჩევნო პროგრამის თუ ზეპირი დაპირებების გრძელ ჩამონათვალში ერთ-ერთ პრიორიტეტად იდგა, დღეს უკვე მათ არსებობას ვეღარავინ ამჩნევს. ახალი ხელისუფლების იმედი ბინათმოსარგებლეებს ძალიან მალე გადაეწურათ. მათი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად არც ერთ აქციაზე სახელმწიფო კანცელარიიდან გარე პერიმეტრის დაცვის წევრების გარდა არავინ შეხმიანებია. სამწუხაროდ, ისტორია მეორდება, წინასაარჩევნოდ ლამაზ დაპირებებს კიდევ ერთხელ წამოეგო საზოგადოება და ახალი ხელისუფლებაც ტრადიციულად, წინამორბედების მსგავსად ყრუ-მუნჯების სკოლაგამოვლილი გამოდგა. აქციის წევრებს გუშინ აშკარად ფორტუნამ გაუღიმა, მათთან შეხვედრა კანცელარიის რომელიღაც თანამშრომელმა მას შემდეგ იკადრა რაც, საქმეში პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი ჩაერია და კანცელარიის შენობაში ლამის ძალით შეიჭრა. შესაბამისად, სიტუაციის განმუხტვა მხოლოდ აქციის წევრებთან დალაპარაკების შემდეგ გახდა შესაძლებელი. პარტიის ლიდერი გიორგი ლაღიძე აცხადებს, რომ თუ ხელისუფლება ბინათმოსარგებლეების პრობლემას უახლოეს ხანში არ გადაწყვეტს, ისინი შიმშილობის დაწყებას და ფართომასშტაბიანი აქციების გამართვას გეგმავენ. მისი თქმით, აქციები არა მართო თბილისში, არამედ ყველა იმ ქალაქში გაიმართება, სადაც ბინათმოსარგებლეების პრობლემა დგას.

– ჩვენი პარტია ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ყოფნის პერიოდშიც აქტიურად აპროტესტებდით ამ საკითხს, ვმართავდით აქციებს, არაერთხელ მივმართეთ შესაბამის ორგანოებს ამ საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნით, მაგრამ წინა ხელისუფლებამ პრაქტიკულად ეს საკითხი ღიად დატოვა. დღემდე ეს პრობლემა არის გადასაჭრელი. ამ ადამიანებიდან ძალიან ბევრ მათგანს გაუყიდეს საცხოვრებელი სახლები და არიან ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე. აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს პრობლემა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. ამ ადამიანებს უნდა დაუკანონდეთ ფართები, სადაც წლებია ცხოვრობენ. ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ეს საკითხი გადაწყვეტილი იქნა ბინათმოსარგებლეების სასარგებლოდ. ჩვენ გავმართეთ გამაფრთხილებელი აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან, შეხვედრა მქონდა პრემიერის აპარატის წარმომადგენლებთან და მათი მხრიდან გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, თუ როგორ არის ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი. მე მიმაჩნია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ძალიან სწრაფად, რადგანაც ამ ადამიანებს, რაც დრო გადის, უფრო და უფრო სერიოზული პრობლემები ექმნებათ. ასევე ახალ ხელისუფლებას ჰქონდა თავისი წინასაარჩევნო პროგრამაში ჩადებული ამ საკითხების მოგვარება. ახალ ხელისუფლებას პირველ რიგში უნდა აწუხებდეს იმ ადამიანების ბედი, ვინც ისინი მოიყვანა ხელისუფლებაში. თუ მათ ეს საკითხი არ გადაწყვიტეს უახლოეს ხანში, ჩვენ დავიწყებთ ფართომასშტაბიან აქციებს და არ არის გამორიცხული, ამ ადამიანებმა მიმართონ პროტესტის ფორმას შიმშილობას.

ლამარა ბაქრაძე, ბინათმოსარგებლე:

– ეს პრობლემა მოდის ჯერ კიდევ ორმოციანი წლებიდან, ჩემს პაპას ჩამოართვეს სახლის ნაწილი და ის ნაწილი მიითვისეს თაღლითებმა. ვითხოვთ იმ ფართების დაკანონებას, რომელიც არის ჩვენს მფლობელობაში. ლტოლვილებს უკანონებენ ერთ ლარად ფართებს და ჩვენ ჩვენი საკუთრების, ჩვენი მემკვიდრეობის დაკანონებას ვითხოვთ. სახალხოდ ვაცხადებ, თუ არ დაგვიკანონეს ჩვენი კუთვნილი ფართები, მე პირადად ჩემს ქმედებაზე პასუხს არ ვაგებ.

– როგორც ითქვა, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, სასამართლოს წესით.

– ჩვენ სასამართლო მოვიგეთ, მაგრამ მაინც არ გადაწყდა ეს საკითხი ისე, როგორც საჭიროა. მე ვითხოვ ჩემი წინაპრების საკუთრების დაბრუნებას და დაკანონებას. ამაში უკანონო არაფერი არ არის. თუ ეს ხელისუფლება არ მოგვაქცევს ყურადღებას და არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, დავიწყებთ აქციებს და არ არის გამორიცხული, შიმშილობაც დავიწყოთ.

„ზალოგში“ ჩადებული დარიალის ხეობა და 1 ლარად გასხვისებული მთა გერგეტში

შორენა მარსაგიშვილი

ყაზბეგის რაიონში ჰესების მშენებლობაზე ჯერ კიდევ დიდი ვნებათაღელვაა. ამ თემით, ოფიციალურ იქნა, პრეზიდენტის გარემოს დაცვის კომიტეტიც დაინტერესდა. კომიტეტის თავმჯდომარე პირობას დებს, თოვლი რომ დადნება, ყაზბეგში ჩავალ და სიტუაციაში გავერკვევიო. მისგან განსხვავებით, ჩქარობენ ჰესების მშენებლები. ისინი არა მარტო ჰესს აშენებენ, არამედ მოსახლეობაშიც ჩამოერიბინეს ხელმოწერების შესაგროვებლად.

„ახალი თაობა“ უკვე იუწყებოდა, თუ რა ფორმებით აგროვებენ მოსახლეობაში ხელმოწერებს. ჰესის „პრარა-ბები“ მოსახლეობას ატყუებენ, თითქოს მშენებლობა პატრიარქის კურთხევით მიმდინარეობს. პატრიარქს აქ განუზომელი ავტორიტეტი აქვს და მავანი ამით სარგებლობს.

ამავე დროს, მოსახლეობა სხვა მოთხოვნით აგროვებს ხელმოწერებს. ისინი ჰესების მშენებლობის შეჩერებას ითხოვენ. ამ კამპანიაში სხვადასხვა ძალები ჩაერთნენ. არასამთავრობები პროკურატურაშიც ჩივიან. კარგი იქნებოდა, თუ გარემოსდამცველები თერგის მესაფლავეების ორდენის კავალერის წოდებასაც დააწესებენ. იმ ადამიანებმა, რომლებმაც ამ ჰესების მშენებლობას მოაწერეს ხელი, მდინარე თერგი სასიკვდილოდ გაიმეტეს, თუმცა ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, რადგანაც თერგთან ჭიდილი კარგად არ მთავრდება ხოლმე.

„ახალი თაობისთვის“ ერთი საინტერესო ინფორმაცია გახდა ცნობილი. ირკვევა, რომ ჰესის მაშენებლებს დარიალის ხეობა „ზალოგში“ ჰქონიათ ჩადებული. კომპანიას, რომელიც „დარიალისა“ და „ლარსის“ ჰესებს აშენებს და ახლა უკვე ხდის ხეობაში გეგმავს ჰესის აშენებას, 2012 წლის ივლისში „თიბისი ბანკიდან“ 30 მილიონი დოლარის სესხი აქვს აღებული და მთელი „ლარსი ჰესი“ (თავისი დანადგარებით, სადერივაციო მილსადენითა და აგრეგატებით) გირაოშია ჩადებული.

ამ ჰესების აშენების ხათრით ყაზბეგის რაიონს დაცული ტერიტორიის ნაწილი ჩამოაჭრეს. ესეც ერთგვარი პარადოქსია. ეს ოგა ხაჩიძის გარემოს დაცვის მინისტრობის დროს მოხდა. ალბათ, მას ამაზეც მოუწევს პასუხის გაცემა, თუ კობიტაციამ არ გადაარჩინა.

ძველი ხელისუფლების მსგავსად, გარემო, როგორც ჩანს, დიდად არც მეოცნებეებს აინტერესებთ, ან ისე არიან ოცნებით დატვირთული, ამისთვის, უბრალოდ, დრო აღარ რჩებათ, ანდა შესაძლოა თოვლი უშლით ამაში ხელს. აი, თოვლიც დადნება და ვნახოთ.

მანამდე კი ურიგო არ იქნება, თუ მეოცნებე ხელისუფლება პრეზიდენტის ერთ იაღლიშს გამოასწორებს. შარშან ზაფხულში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყაზბეგში, კერძოდ, გერგეტის სამების მონასტრის სიახლოვეს მიწა გასხვისდა. ადგილობრივებიც და ჟურნალისტებიც დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდით, გაგვერკვია, თუ ვინ იყიდა ეს მიწა. იყო ჭორი, რომ უცხოელმა ინვესტორმა იყიდა.

ცოტა ხნის წინ კი გაირკვა, რომ ეს მიწა გიგი უგულავას ძმას შეუძენია, თან, სულ რაღაც, 1 ლარად. არა, საქართველოში მიწა ასე არ გაიაფებულა. ეს პრეზიდენტმა გაიმეტა თბილისის მერის ძმისთვის ქართული მიწა ასე იაფად. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ეს ჩუქება ოფიციალურად არჩევნების შემდეგ გაფორმდა. არაა გამორიცხული, მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო ქონება კიდევ ვინმეს „ჩაახუტოს“. პრეზიდენტ სააკაშვილისთვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის უფლებამოსილება ჯერ არ ჩამოურთმევიათ.

ცოტა ხნის წინ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გააჟღერა ინფორმაცია, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ძვირადღირებული ქონება რამდენიმე კომპანიას 1 ლარად გადასცა. მათ შორის არის შპს „ჯეოლენდი“, რომლის 50%-ის მფლობელიც თბილისის მერ გიგი უგულავას ძმა ირაკლი უგულავაა.

წლების განმავლობაში სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი ბრძანებითა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირდებოდა. აღნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა და შესაბამის პირობებს ადგენდა საქართველოს პრეზიდენტი.

ახალი კანონპროექტით, რომელიც პარლამენტში ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ წარადგინა, პრეზიდენტი სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმის უფლებამოსილებას კარგავს. კანონპროექტის ავტორი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას, წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემას პირდაპირი გადაცემის ფორმით მთავრობა განახორციელებს. ასევე, მთავრობა განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის წესს.

ერთ-ერთი კომპანია, რომელმაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 8.000 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 10 ოქტომბერს 1 ლარად მიიღო, შპს „ჯეოლენდია“. ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ წელიწადში შპს „ჯეოლენდს“ აღნიშნულ ტერიტორიაზე სამთო ქოხის მშენებლობა და საკემპინგე ტერიტორიის მოწყობა ევალება.

სამთო ქოხი და საკემპინგე გერგეტის სამების მამათა მონასტრის სიახლოვეს უნდა მოეწყოს. პრეზიდენტმა ხომ ეს ტერიტორია უფეშქაშა დედაქალაქის მერის ძმას. აქ ჯერჯერობით არაფრის აშენება არ დაწყებულა. არაა გამორიცხული, მოსახლეობამ და საპატრიარქომ ეს მშენებლობა გააპროტესტონ. გასაგებია, რომ ტურიზმი საქართველოსთვის პრიორიტეტია, მაგრამ ქვეყანამ ჯერ საკუთარ მოქალაქეებზე უნდა იზრუნოს და მერე – ტურისტებზე.

და კიდევ, რადგან დარიალის ხეობაზე ვინერვიულეთ, ერთ ამბავსაც გამცნობთ: გზით, მოგეხსენებათ, ჩვენი სომეხი მეზობლები სარგებლობენ. ისინი საქართველოს გავლით უკავშირდებიან რუსეთს. სომეხი მძღოლები ყოველთვის სომხური პროდუქციით იკვებებიან და ამ ნარჩენებს რატომღაც დარიალის ხეობაში ყრიან. რუსეთის ტერიტორიაზე ნაგავს არავინ აყრევინებს. ჩვენ კი, როგორც ტოლერანტი ქვეყანა, ამის უფლებას ვაძლევთ.

ჰოდა, ახლა თუ გაივლით დარიალის ხეობაში, ნახავთ სომხური წარმოების კონსერვის ქილებსა და ათას რაღაცას. ამ ქილებს, ალბათ, მიწა დაფარავს. გავა წლები და აქ არქეოლოგიური გათხრები ჩატარდება. აღმოაჩენენ სომხური წარმოების ქილებს. მერე მიდი და სამველ კარაპეტიანს უმტკიცე, რომ ეს სომხური მიწა არ არის. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

ილია II: „საქართველომ და რუსეთმა შეცდომების გამოსწორება უნდა დაიწყონ“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოში რუსეთიდან ხვალ დაბრუნდება. ჩვენი საზოგადოება პატრიარქის რუსეთში ვიზიტზე დიდ იმედებს ამყარებდა. მოსახლეობის ნაწილს დიდი იმედი ჰქონდა, რომ პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას რაიმე შედეგს მიაღწევდა. იქნება თუ არა ეს შეხვედრა შედეგიანი, ამას მალე დავინახავთ. ჩვენი პატრიარქი იმედოვნებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მას სჯერა, რომ ქართველები და რუსები დაშვებული შეცდომების გამოსწორებას დაიწყებენ.

ილია II-მ მოსკოვში მოღვაწე ქართველი მოქანდაკის ზურაბ წერეთლის სახელოსნოში სტუმრობისას მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა.

– ჩემი ვიზიტის მიზანია, დაიწყოს იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც მრავლად დავუშვით. ვფიქრობ, გვეყოფა სიმამაცე და სიბრძნე, ეს შეცდომები გამოვასწოროთ. მქონდა შეხვედრა ვლადიმირ პუტინთან და შევთანხმდით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ძმებად დავრჩეთ. ის, რაც მოხდა, არც რუსეთის ბრალია და არც საქართველოსი, მით უმეტეს, ეს არ იყო არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბრალი. ეს იყო ცალკეული პიროვნებების ბრალი. რა თქმა უნდა, ქართველები გიჟები არიან სიყვარულში, გიჟები არიან კეთილი საქმის კეთებაში. მხოლოდ ქართველს შეეძლო ეთქვა „შენი ჭირიმე“ ან „შენ გენაცვალე“. მადლობას გიხდით ყველა აქ მყოფს იმისათვის, რომ თქვენც გიყვართ საქართველო და ჩვენ ამას ვგრძნობთ, საქართველოსა და რუსეთს შორის სიყვარული იქნება მუდმივი, – ბრძანა პატრიარქმა.

რაც შეეხება პატრიარქისა და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრას, რუსული მედიის ინფორმაციით,. პუტინმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

რუსული მედიის ცნობითვე, პუტინმა საქართველოს პატრიარქს დაბადებიდან 80 და ინტრონიზაციიდან 35 წლის იუბილე და მოსკოვში მართლმადიდებელი ერთობის ფონდის პრემიის მინიჭება მიულოცა.

– განსაკუთრებული მადლობა კი მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ თქვენ დღევანდელ მძიმე პირობებში, მხედველობაში მაქვს არცთუ ისე იოლი ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, ყველაფერს აკეთებთ, რათა ხელი შეუწყოთ ჰუმანიტარული, კულტურული და სულიერი კონტაქტების შენარჩუნებას მოძმე ერებს შორის, – მიმართა პუტინმა ილია II-ს.

მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა პატრიარქმა 22 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზეც. ამ პრესკონფერენციაზე ილია II-მ რუსეთის პატრიარქთან შეხვედრა შეაჯამა.

– ჩვენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილთან, პირველ რიგში, შიდა საკითხები განვიხილეთ. შევეხეთ წმინდა კრების საკითხსაც, რომელიც მომავალში უნდა შედგეს. ვფიქრობ, შევთანხმდით, რომ ყველა იმ საკითხის მოგვარებამდე, რომლებიც მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებობს, კრების მოწვევას აზრი არ აქვს. ჩვენ ვისაუბრეთ აგრეთვე მართლმადიდებელი ეკლესიის როლზე ჩვენი ხალხებისთვის, იმაზე, რომ როდესაც სახელმწიფოებს – რუსეთსა და საქართველოს – შორის ურთიერთობა დაძაბული იყო (და ახლაც ასეა), რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ძმური ურთიერთობა შეინარჩუნეს და ეს ჩვენი ურთიერთობის ერთადერთი დამაკავშირებელი გზა იყო. ვფიქრობ, ჩვენი ვიზიტი კარგ შედეგებს გამოიღებს. არ არსებობს ისეთი საკითხი, რომლის დადებითად, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტა არ შეიძლება. ჩვენ გვესმის, რომ უნდა ვხედავდეთ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის პრობლემებსაც... ბევრი სულიერი და სხვა ფასეულობა გვაქვს, რომლებიც უნდა გავცვალოთ. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს და არა მარტო ვიცნობდეთ, არამედ დიდი პატივისცემითაც ვეპყრობოდეთ. ჩვენს ხალხებს შორის თბილი ურთიერთობა შენარჩუნებულია და მე ეს მახარებს და მაიმედებს. ვფიქრობ, რომ, უპირველესად ყოვლისა, უნდა ვიყოთ გულწრფელნი, მორწმუნენი, მოსიყვარულენი. ადამიანებს შორის ურთიერთობაში გულწრფელობა აუცილებელია. უნდა მივუტეგოთ ერთმანეთს. არ შეიძლება, ბოროტებას გამუდმებით გულში დაატარებდე. წმინდა ბასილი დიდი ამბობს, რომ ბოროტება ბოროტებით არ იკურნება, ბოროტება მხოლოდ სიყვარულით იკურნება. ჩვენ, ისევე, როგორც თქვენ, ბევრი სასულიერო პირი გვყავს და მე მახარებს, რომ ჩვენი მრევლი ჩვენს სამღვდელოებაში შესანიშნავ მაგალითებს ხედავს. ჩვენ გავხსენით საზღვარი, რუსებიც და სხვა ხალხებიც თავისუფლად დადიან ჩვენს ტაძრებში, მონასტრებში, მათ იქ სიყვარულით იღებენ. ვფიქრობ, რუსეთის მხრიდანაც ასეთი დამოკიდებულება იქნება, – განაცხადა ქართული ეკლესიის წინამძღოლმა.

ჯონდი ბაღათურია: „ქართულ ოცნებაში“ შიდა დაპირისპირება ქვეყანაზე ცუდად იმოქმედებს“

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო 2 დღეა ქვეყანაში მთავარი სალაპარაკო თემა ივანიშვილის და ალასანიას დაპირისპირებაა. ოცნება კი ამტკიცებს არაფერი საგანგაშო არ არისო, მაგრამ ამდენ ინტრიგამონელებულ ხალხს გამოაპარებ რამეს? ალასანიას ჩამოლაბორანტებას განსაკუთრებული გულდასმით ნაციონალები განიხილავენ. ზოგიერთი ნაციონალი მის ქება-დიდებასაც არ იშურებს. მავანს ჰგონია, რომ თავდაცვის მინისტრი მალე დატოვებს მეოცნებეებს და მათი კონკურენტი გახდება.

სხვა პარტიები შედარებით მოკრძალებულად იჭყიტებიან „ქართული ოცნების“ სამზარეულოში. ამ თემაზე საუბარი გუშინ ჯონდი ბაღათურიასაც მოუწია. რომელსაც მეოცნებეებში ატეხილი ჟრიამული ნაციონალების მავნებლობის გამო აწუხებს.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, ბოლო დღეების განმავლობაში „ქართული ოცნების“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები, რომელიც თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთვის ვიცე-პრემიერობის შეწყვეტას უკავშირდება, კოალიციის შიდა საქმეა, რომლის შესახებაც მისი მხრიდან რაიმე განცხადების გაკეთება და საქმეში ჩარევა, უტაქტობა იქნება.

– სახელმწიფოსთვის არ იქნება სასარგებლო შიდა სამთავრობო დაპირისპირებები და პარტიებს შორის ძალაუფლების გაზრდისთვის ნაადრევად დაწყებული კონკურენცია, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ნაცმოძრაობის კრიმინალური ბანდა ძალაუფლებას ბოლომდე ჩამოშორებული არ არის. კონკურენცია კარგია, მაგრამ ამ ეტაპზე აშკარად ნაჩქარევი და ნაადრევია. სააკაშვილს არ აქვს უკან დაბრუნების რესურსი, მაგრამ აქვს საქმის გაფუჭების რესურსი და ამის გაკეთებას ცდილობს კიდეც. საპარლამენტო უმცირესობა და პრეზიდენტი განგებ ცდილობენ კრიზისის და დესტაბილიზაციის გამოწვევას იმისათვის, რომ ამას ერთგვარი ეკონომიკური დეპრესია მოჰყვეს. საქართველოში ინვესტიციები არ შემოდის, არ იხარჯება ადგილობრივი ფული და ეს ხდება იმიტომ, რომ ბიზნესმენებს ნაცმოძრაობის უკან დაბრუნების ეშინიათ, რადგან ბიზნესებს დაკარგავენ. ისინი დესტაბილიზაციის მოლოდინს აჩენენ. არ არსებობს მეორე ქვეყანა, სადაც პრეზიდენტი ცდილობს კრიზის შექმნას იმისათვის, რომ პენსიები ვერ დარიგდეს, – განაცხადა ბაღათურიამ.

მისი თქმით, ამ ფონზე ახალი ხელისუფლების დაშლა ქვეყნისთვის საგანგაშო იქნება. ამასთან ბაღათურია არ ფიქრობს, რომ მთავრობა დაიშლება.

ჯონდი ბაღათურია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლას უარყოფითად აფასებს.

– ეს იყო ქვეყნისადმი ძირგამომთხრელი გამოსვლა, რადგან სააკაშვილი პირდაპირ ცდილობდა სომხების და აზერბაიჯანელების გაღიზიანებს. სომხეთთან დაპირისპირებაში თავისი განცხადებებით თვითონ შევიდა, ხოლო აზერბაიჯანელებს და თურქებს მიანიშნებდა, რომ ახალი ხელისუფლება მათ წინააღმდეგ გარკვეულ შეთქმულებაში მონაწილეობს. სომხებიც და აზერბაიჯანელებიც ძალიან ჭკვიანი ხალხია, ამიტომ სააკაშვილის მცდელობა უშედეგო გამოდგა. ეს იყო ძალიან ცუდი საქციელი, – აღნიშნა „ქართული დასის“ ლიდერი.

ბაღათურიას თქმით, სააკაშვილმა ევროსაბჭოში გამოსვლა მასხარასავით დაიწყო, რადგან ისაუბრა იმაზე, თუ როგორ დასდევდა ნიდერლანდებში ველოსიპედით გოგოებს.

– მან თავისი გამოსვლა დაიწყო იმაზე საუბრით, რომ ნიდერლანდებში ცხოვრობდა და ველოსიპედით დასდევდა გოგოებს. ვის რაში აინტერესებს, ვის დასდევა სააკაშვილი ნიდერლანდებში ველოსიპედით?! როდესაც პრეზიდენტი ამაზე საუბრობს, ეს არის არასერიოზული. მე ერთგვარი უკმარისობის განცდა დარჩა, რადგან სააკაშვილის განცხადებებს ევროკავშირში არგუმენტირებული და დოკუმენტირებული პასუხები არავინ გასცა საპარლამენტო უმრავლესობიდან. ამას ბრაზით არ ვამბობ, ვიღაცას ხომ უნდა გაეცა პასუხი მისთვის, – განაცხადა აღშფოთებულმა ბაღათურიამ..

ვინ უნდა აკონტროლოს სკოლები

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 5 თებერვლის ჩათვლით ტერიტორიული ორგანოების ანუ საგანმანათლებო რესურსცენტრების ხელმძღვანელობის მსურველთა განაცხადებს ონლაინრეჟიმში მიიღებს და სამ ეტაპად ჩაატარებს კონკურსს. პირველ ეტაპზე განცხადებების გადარჩევა მოხდება, შემდეგ ტესტირება და ბოლოს–გასაუბრება. იმედია, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში რესურსცენტრების უფროსების შერჩევა მოხდება სამართლიანად და კითხვის ნიშნებს ნაკლებად დატოვებს მიღებული შედეგები. თუმცა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ასაკის გათვალისწინებასთან დაკავშირებით უკვე იწვევს ღიმილს. კონკურსანტის მინიმალური ასაკი მითითებულია 21 წელი, მაქსიმალური-საპენსიო. საქართველოში 12 წლიანი სწავლისა და ბაკალავრიატის 4 წლიანი კურსის გამო ალბათ გაჭირდება 21 წლის უმაღლესი განათლების მქონე პირის მოძებნა, მით უფრო, რესურსცენტრის ხელმძღვანელობის მსურველს განათლების სისტემაში მუშაობის 2 წლის გამოცდილება მაინც უნდა ჰქონდეს. აკადემიურობა არცერთ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსს არ უნდა აკლდეს, მაგრამ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებას (ისიც ასეთი პოზიციისათვის, როგორიცაა რესურსცენტრის ხელმძღვანელობა) კალკულაციის გათვალისწინება ზედმიწევნით მოუხდებოდა.

საჯარო სამსახურში მოღვაწე ადამიანებს კომპიუტერთან მუშაობა რომ უნდა შეეძლოს (მოდურად რომ ვთქვათ, კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები), ამაზე სადაო არ გვაქვს, მაგრამ საქართველოს რესურსცენტრების აქამდე არსებული ხელმძღვანელობის ნაწილი ან ვერ ფლობდა კომპიუტერთან მუშაობის უნარს, ან კიდევ–უნარ-ჩვევას არ იყენებდა. მარტივად შემიძლია დაგიდასტუროთ ეს ფაქტი. არც ისე დიდი ხნის წინ კორესპოდენცია გადავუგზავნე გურიის ერთი მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის ხელმძღვანელს ელექტრონულ ფოსტაზე(ელექტრონული ფოსტის მისამართი მითითებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე) და პასუხი ჯერ კიდევ არ მოსულა. თვალნათლივია, რომ რესურსცენტრის ხელმძღვანელი უპასუხისმგებლოა ან ინტერნეტის არმცოდნე.

60 ათასზე მეტი მასწავლებლით დაკომპლექტებული საჯარო სკოლები პოლიტიკური ნიშნით უმეტესად მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერად აღიქმება (გამონაკლისები არსებობენ), რადგან მთავარი კოზირი მასწავლებლების წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან სკოლების დაფინანსებაა. ,,ლეტა სე მუა“ შუა საუკუნეების შემდეგ იმდენად გაუჯდა ადმინისტრაციას მენტალიტეტში, რომ მის აღმოფხვრას არც უნდა ველოდოთ. ,,სახელმწიფო მე ვარ“ ჰგონია ყველა ხელისუფალს ყველა დონეზე, მათ შორის მუნიციპალურზედაც. მაღალი ეშელონების მიმართ ქედმოდრეკილი ტერიტორიული ბიუროკრატია ხალხის თვალში ,,აღემატებოდა თვით მეფეს“.

რესურსცენტრების არაერთი უფროსი ინიშნებოდა პოლიტიკური ერთგულების ნიშნით. სწორედ რესურსცენტრებში იყო ინფორმაციები ურჩ დირექტორებსა და მასწავლებლებზე, მერე გენერალური ინსპექციის შიშით თავისი ნებით წერდნენ განცხადებებს პედაგოგები და დირექტორებიც გათავისუფლების შესახებ. სკოლის დირექტორს შეიძლება ჰქონდეს ფინანსური დანაშაული, მაგრამ მასწავლებლის ძირითადი დანაშაული ,,არას“ დაუწერლობა ან სასკოლო დოკუმენტაციის სხვა რომელიმე შეცდომა ყოფილიყო. ჩემთვის პირადად დაბალი კვალიფიკაციის გამო გათავისუფლებული პედაგოგის შემთხვევა უცნობია. საჯარო სამართლის იურიდიული პირის (ამ შემთხვევაში საჯარო სკოლის) შინაგანაწესის დარღვევა იყო ძირითადი ბრალდება მასწავლებლის დათხოვნის, თუმცა დღემდე მოქმედი შრომის კოდექსი სულაც არ ავალდებულებს დამსაქმებელს, რომ დასაქმებულს განუმარტოს, რის საფუძველზე ათავისუფლებს.

მასწავლებლის ძირითადი ,,ხალტურა“ სკოლაში დროის მოპარვაა. როცა ჩემს სტატიებს კითხულობენ, იქ ანეკდოტს თუ არა, ანეკდოტურ სიტუაციას მაინც ხშირად აწყდებიან. ტრადიციას არც ამჯერად ვუღალატებ და მასწავლებლის ,,გამორჩენაზე“ ასეთ რამეს გავიხსენებ: სკოლის დირექტორი საყვედურობს მასწავლებელს გაკვეთილზე 5 წუთის დაგვიანებით შესვლის გამო. მასწავლებელი თავს იმართლებს: მართალია, 5 წუთით გვიან შევედი, მაგრამ სამაგიეროდ 10 წუთით ადრე გამოვედიო. ახლა რასაც დავწერ, ეს კი სინამდვილეა. ჩემი მოსწავლეობის დროს ერთი პედაგოგი სამუშაოდ გადავიდა საწყობის გამგედ. როცა დაეკითხნენ, თუ რატომ შეელია პროფესიას, მარტივად უპასუხა: სკოლაში მოსწავლეს თავს ვერ მოჭამ და საწყობში მეტი ხეირიაო. დროის მოპარვის ნეგატიური ტრადიცია სკოლებში აუცილებლად უნდა მოისპოს.

რესურსცენტრების დებულების მიხედვით აქამდე განათლებისა და მეცნიერების ამ ტერიტორიულ ორგანოებს არ ჰქონდათ სკოლების მუშაობის ხარისხის შემოწმების უფლება (თუმცა საქართველოში ამის მაგალითები არსებობს, როცა სკოლის მუშაობა არაოფიციალურად გადაამოწმეს), მომავალში კი მიენიჭება. ოპონირების მსურველები ამ მომენტს ,,წარსულში დაბრუნებად“ მონათლავს, რადგან კომუნისტურ ეპოქაში განათლების განყოფილების სკოლაში მისვლა საფუძვლიან ინსპექტირებას ნიშნავდა და დირექტორიდან დაწყებული მოსწავლის ჩათვლით ყველა მობილიზებული იყო პირნათლად ეჩვენებინათ საგანმანათლებო მდგომარეობა. მართალია, რესურსცენტრების შექმნამდეც იყო პრობლემა ინსპექტირების ხარისხსა და ფორმებში, მაგრამ სკოლასა და სამინისტროს შორის შუალედური რგოლი ასე თუ ისე, დადებითად წყვეტდა საკითხებს.

როცა მუნიციპალიტეტებში რესურსცენტრების ხელმძღვანელები დაინიშნება, შემდეგ რესურსცენტრის აპარატიც ჩამოყალიბდება და ინსპექტირებაც შესაძლებელი გახდება. საჭიროების შემთხვევაში სარეკომენდაციო-სადამსჯელო ღონისძიებებს განახორციელებენ. რესურსცენტრების აპარატის ჩამოყალიბებისას დიდი სიფრთხილე იქნება საჭირო, რადგან მასწავლებლებთან მუშაობა არც ისე ადვილია თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს სწავლების მეთოდები და იდეალური არცერთი არაა. ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ მასწავლებელი თავისუფალია მეთოდიკის არჩევანში და მისი შემოწმება დილეტანტს არ უნდა მიენდოს, ისე, როგორც ერთხელ პირადად ჩემს შემთხვევაში მოხდა. ის პატარა სკოლა, რომელიც ჩემი ძირითადი სამსახურია, მუდამ აუღებელ ციხედ ითვლებოდა, ერთხელაც ,,სადამსჯელო“ აქციის ფარგლებში ინსპექტირება ჩაატარეს და ქართული ენის გაკვეთილზე შემოუშვეს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ინსპექტირების აქტში სხვა ბევრ სისულელესთან ერთად წერდა: ,,მასწავლებელს ჟურნალი კარგად აქვს შევსილი“. ამდგვარი შეცდომებისაგან საგანმანათლებო სისტემა დაზღვეული უნდა იყოს.

,,ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო მცდელობა, რომ სკოლა პირდაპირ ეკონტროლებინა სამინისტროს თუნდაც ელექტრონული ჟურნალების საშუალებით, მაგრამ ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის გამო ვერ მოხერხდა. სკოლას მინიმუმ ესაჭიროება ელექტრონული ჟურნალების წარმოებისათვის ერთდროულად იმდენი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, რამდენი ფინანსური კლასიც ჰყავს. ინტერნეტის მოხმარება სკოლებში ყველაზე მეტად ძველი თაობის პედაგოგებს უჭირთ. ესეც პრობლემას ქმნის იმასთან ერთად, რომ საქართველოს რეგიონებში ინტერნეტის მიწოდება ან შეზღუდულია, ან კიდევ საერთოდ არ არსებობს.

ონლაინი აუცილებლად გახდება ქართული საგანმანათლებო სისტემის განუყოფელი ნაწილი, მაგრამ ამდენი საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება (ჩვეულებრივი ფორმატითა და ელექტრონულად) მასწავლებელს აკარგვინებს დროს სწავლებისას.

რესურსცენტრებისათვის ამ ეტაპზე სკოლების კონტროლის უფლების მინიჭება დადებითად უნდა შეფასდეს, მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც აუცილებლად გამოჩნდება და იტყვის: ეს არის დაბრუნება უკან, კომუნისტურ ეპოქაში.

კოაბიტაცია დასრულდა

გულიკო ბალაძე

ძალიან ხთელია, დღეს იღაპახაყო იმაზე, ხას მოიმოქმედებენ სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძხაობა დღევანდელ სიტუაციაში, მაგხამ საზოგადოება წუხს მათ გამო. ადამიანები ფიქხობდნენ, ხომ 1 ოქტომბხის ახჩევნებით საბოლოოდ მოიშოხებდნენ სააკაშვილსა და ნაცებს, მაგხამ ახ გაუმახთლათ. დღე ახ გავა, სააკაშვილმა ღანძღვის სეხიები ახ გაუშვას.

ვერავინ წარმოიდგენდა, თუ სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა გაუვიდოდა და ხალხს მისი ატანა კიდევ მოუწევდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია – სააკაშვილს პრეზიდენტის მანტიის მოხსნა არ უნდა და პრეზიდენტის სასახლე უკანონოდ აქვს დაკავებული.

ასეთ სიტუაციაში „ახალგაზრდა ადვოკატები“ ფიქრობენ, რომ სააკაშვილმა პარტიული თანამდებობა უნდა დატოვოს. უშველის თუ არა პარტიული თანამდებობის დატოვება სააკაშვილს, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მაგრამ ალბათ, ეს ჭირიც გადასატანია.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სამართლებრივი შეფასება, არაორდინარულია, რადგანაც, რეალურად სახეზეა ორხელისუფლებიანობა, რა დროსაც პრეზიდენტი წარმოადგენს არჩევნებში დამარცხებული პარტიის თავმჯდომარეს.

ამასთან, „ახალგაზდა ადვოკატების“ შეფასებით, თვითმმართველობის ორგანოები დაკომპლექტებულია არჩევნებში დამარცხებული პარტიის წარმომადგენლებით, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილს და საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური კოალიცია.

ამ სიტუაციაში, არჩევნების დამთავრებისთანავე, სააკაშვილმა განაცხადა, ოპოზიციაში გადავდივარო, ხოლო უცხოელებმა მოგვაწოდეს ძველი და ახალი ხელისუფლების ურთიერთთანაარსებობის იდეა და მისი გამომხატველი სიტყვა „კოჰაბიტაცია“.

ნაციონალებმა უმალ აიტაცეს სიტყვა „კოჰაბიტაცია“ და ახლა ამით გვაბეზრებენ თავს, არიქა, ახალი ხელისუფლება კოჰაბიტაციის პროცესს არღვევსო, თითქოს ქვეყანაში მეტი პრობლემა არ იყოს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ კი გვარწმუნებენ, კოჰაბიტაცია არც დაწყებულა, ისე დასრულდაო.

– მაღალი დემოკრატიის ქვეყნებში, ასეთი შემთხვევა იშვიათი მოვლენა არ არის, მაგრამ საქართველოს თავისებურებიდან გამომდინარე, შექმნილმა ვითარებამ, შესაძლებელია ქვეყნისთვის საზიანო შედეგები მოიტანოს. საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყარე, სამოქალაქო საზოგადოებაში თანხმობის საკითხი და პოლიტიკური ურთიერთობის კულტურა, არ იძლევა რეალური კოჰაბიტაციის განხორციელების შესაძლებლობას.

მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ კოჰაბიტაცია დასრულდა ისე, რომ ის არც კი დაწყებულა, – აცხადებს უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ თავმჯდომარე არჩილ კაიკაციშვილი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, საქართველოს პრეზიდენტს აქვს შესაძლებლობა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ-სამართლებრივი ვითარება განმუხტოს და იხელმძღვანელოს ევროპული დემოკრატიის პრინციპებით.

– იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა თვითნებურად გახანგრძლივებულია, ხოლო საზოგადოების ერთი ნაწილის მოთხოვნაა – გადადგეს პრეზიდენტი, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არ არის მხარდაჭერილი.

შექმნილ ვითარებაში სამართლიანია, თავად პრეზიდენტმა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკურ დაძაბულობას შეაჩერებდა და სამოქალაქო სიმშვიდეს უზრუნველყოფდა, – ასეთია „ახალგაზრდა ადვოკატების მოსაზრება, ძველი ხელისუფლების პრობლემებთან დაკავშირებით.

აქ საკითხავია, არის თუ არა დაინტერესებული სააკაშვილი, ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობის შეჩერებით და სამოქალაქო სიმშვიდის უზრუნველყოფით?

ცხადია, ძველი ხელისუფლება საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს და იბრძვის, პოლიტიკურ მოედანზე, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს.

– ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს პრეზიდენტმა დატოვოს პარტიული თანამდებობა – გადადგეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის თანამდებობიდან, რითაც საზოგადოებას საშუალება მიეცემა უკეთ შეაფასოს პრეზიდენტისა და ამ პარტიის საქმიანობა სახელმწიფო ინტერესებთან მიმართებით, – განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

მისი თქმით, ამით მოქმედ ოპოზიციას შანსი მიეცემა წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობა და პოლიტიკურ კონკურენციაში რეალური მონაწილეობა მიიღოს, ფიქრობენ „ახალგაზრდა ადვოკატები“.

აქ გასათვალისწინებელია ის, როგორ გრძნობენ თავს ნაციონალები და სააკაშვილი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში.

რეალური პოლიტიკურ კონკურენციის პირობებში ნაციონალები დამარცხდებიან. ეს გამოჩნდა 1 ოქტომბრის არჩევნებში. ამას ისინი მაშინვე მიხვდნენ, შემოვიდა თუ არა მძიმეწონიანი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ მოედანზე. ამიტომ იყო, რომ გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი შოკში ჩავარდნენ.

კონკურენცია ნაციონალებისთვის უცხო ხილი და სრულიად მიუღებელი ცნებაა.

მეორეა, რომ კონკურენციის პირობებში ნაციონალური მოძრაობა სრულიად გაცამტვერდება და გაცამტვერდა კიდეც. ისე „იღვაწეს“, რომ ახლა მათი არსებობა დროის ფაქტორია.

ნაციონალები თავს კარგად გრძნობენ მაშინ, როცა ყველაფერს თვითონ აკონტროლებენ და სხვებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ.

სააკაშვილი პარტიის თავმჯდომარეობიდან რომ გადადგეს, ნაციონალური მოძრაობა, საერთოდ, დაიშლება.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერობიდან გადადგომით სააკაშვილიც დასუსტდება, როგორც პოლიტიკოსი (პოლიტიკოსი თუ არის და მის საქმიანობას პოლიტიკა თუ ჰქვია, საერთოდ).

სააკაშვილისნაირ ლიდერს, რომელსაც პარტია არ უმაგრებს ზურგს, ის, საერთოდ, ვერაფერს გააკეთებს.

თუმცა, მეორეს მხრივ, ნაციონალებიც დასუსტდებიან. პარლამენტში დეპუტატები გაექცევათ ფრაქციებიდან, რაიონებში ხალხი აღარ ეყოლებათ. მოკლედ, სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს აძლიერებენ.

საერთოდ პრეზიდენტობიდან გადადგომაზეც ლაპარაკი ზედმეტია, რადგან კანით გრძნობს ხელებზე ხელბორკილებს.

ამ შემთხვევაში სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას სწორი ტაქტიკა აქვთ არჩეული – იყვირონ, თითქოს მათ ვინმე ჩაგრავს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა ძალაუნებურად მის მხარეს აღმოჩნდეს და ტყავი გადაირჩინონ. ეს არის ნაციონალების ტაქტიკა.

თუ ნაციონალები პარტიულ საქმიანობას ჩამოსცილდებიან, სათითაოდ იქნებიან ასაკრეფი და დასაპატიმრებელი, იმდენი დანაშაულებრივი ქმედება აქვთ ჩადენილი. ახლა მაინც პარტიული საქმიანობის საფარში არიან გახვეული და გარკვეული უფლებამოსილებები იცავთ.

ამასთან, „ახალგაზრდა ადვოკატებს“ მიაჩნიათ, რომ საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები უნდა განახორციელოს კონსტიტუციის 72-ე მუხლშიც, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისთვის.

– ჩვენი აზრით, ადამიანს, რომელიც გახდება საქართველოს პრეზიდენტი, ავტომატურად უნდა ჰქონდეს ვალდებულება, დატოვოს პარტიული საქმიანობა, – აცხადებენ „ახალგაზრდა ადვოკატები.

სააკაშვილის მისამართით გახმოვანებული ეს რჩევები კარგია, მაგრამ მაინც დაგვიანებულია.

ჯერ ერთი, ნაციონალებს თავი ყველაზე ჭკვიანები ჰგონიათ, ამიტომ ეგონათ, მუდამ იქნებოდნენ და იქნებოდნენ და მეორეც – სამართლებრივი ცნობიერება არა აქვთ.

მართალია, სააკაშვილი თავს იქებს, განათლება ამერიკაში მივიღეო, მაგრამ მთელმა ქვეყანამ იცის და, ფაქტია, რომ მას ძირითადი განათლება კიევის კაგებეს სკოლაში აქვს მიღებული, ამერიკაში კი – ორ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ივანიშვილმა მსოფლიო ლიდერების არაფორმალურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, დავოსში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, გამართულ სესიაზე – „მსოფლიო ლიდერების არაფორმალური შეხვედრა-ევროპული რენესანსისსაფუძვლების ჩაყრა“, მიიღო მონაწილეობა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, სესიის ძირითადი საკითხები ინოვაციურ იდეებს, ფინანსური პრობლემებისა და ახალი ეკონომიკური კონტექსტის თემების განხილვას მოიცავდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სესიაზე სიტყვითაც გამოვიდა, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სწრაფვა ნატოსა და ევროატლანტიკური სივრცისკენ და აღნიშნა, რომ მთავარ პრიორიტეტად, კვლავ ქვეყნისევროინტეგრაცია რჩება.

ნიუსპრესი

სტრასბურგში ქართულ და რუსულ მხარეებს შორის შეხვედრა დასრულდა

სტრასბურგში მიმდინარე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში, გუშინ საქართველოსა და რუსეთის საპარლამენტო წარმომადგენელთა შეხვედრა დასრულდა.

საქართველოს მხრიდან შეხვედრაზე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე იყო წარმოდგენილი, რუსეთის დუმას კი ალექსეი პუშკოვი წარმოადგენდა.

მხარეების განცხადებით, შეხვედრა გაცნობითი ხასიათი იყო, თუმცა მათ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებითაც მოახერხეს შეთანხმება.

კერძოდ, შეთანხმების თანახმად, საქართველოსა და რუსეთის საკანონმდებლო ორგანოთა დელეგაციები ერთმანეთს, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სტრასბურგში შეხვდებიან, სადაც უკვე ისინი კონკრეტულ საკითხებზე იმსჯელებენ.

თედო ჯაფარიძის განცხადებით, მსგავსი ნაბიჯები აუცილებლად შეუწყობს ხელს იმ ხანგრძლივ პროცესს, რასაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების მოგვარება ჰქვია.

ნიუსპრესი

ირაკლი ღარიბაშვილი იაღლუჯის სპეცოპერაციების საბრძოლო მომზადების ცენტრს ეწვია

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ იაღლუჯის სპეციალური ოპერაციების საბრძოლო მომზადების ცენტრს ეწვია.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრმა ცენტრის ტერიტორია დაათვალიერა და სწრაფი რეაგირების დანაყოფისა და დანაყოფში მისაღები კურსანტების წვრთნებს დაესწრო. წვრთნების მონაწილეთა პროფესიონალიზმითა და მომზადების დონით, ირაკლი ღარიბაშვილი კმაყოფილი დარჩა.

შინაგან საქმეთა მინისტრი გუშინ რუსთავში, მომსახურების სააგენტოს სტუმრობდა.

ნიუსპრესი

სახალხო დამცველმა აჭარაში მოლვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა გამართა

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, დღეს, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

სახალხო დამცველის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ნანუაშვილმა ომბუდსმენის აპარატისა და აჭარაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობის აუცილებლობაზე, ბათუმის ოფისის საქმიანობის გაძლიერების გეგმებსა და პერსპექტივებზე ისაუბრა.

პრესსამსახურის ინფორმაციითვე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სახალხო დამცველს მიაწოდეს ინფორმაცია რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. შეხვედრაზე განიხილეს ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა, დევნილების, ეკომიგრანტებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და თვითმმართველობებში მიმდინარე მოვლენების შესახებ საკითხები.

ნიუსპრესი

კოაბიტაცია დასრულდა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თვიანი კურსები გაიარა. ამიტომ მისი სამართლებრივი ცნობიერება კაგებეშნიკური და კომუნისტურია..

სხვა შემთხვევაში, სააკაშვილი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა რომ იყოს, არ დაუშვებდა და არც იკადრებდა ვადის გასვლის შემდეგ, პრეზიდენტობანას თამაშს.

როგორი კარგი პრეზიდენტიც არ უნდა გვყავდეს, მთელი ერი რომ მისტიროდეს, მისი პრეზიდენტობის დასასრულს, აღარ უნდა დავუშვათ, რომ ვინმეს ასეთი მაღალი თანამდებობა – ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი უკანონოდ ეკავოს.

მიუხედავად იმისა, ეს დასავლეთის სახელით მოლაპარაკე პატარა ბიჭები გაიზარდნენ და თმაში ჭაღარაც გამოერიათ, სიდინჯე არ ეტყობათ და ქვეყნის მოსახლეობას მუდმივად განსაცდელში ამყოფებენ.

ასეთ ვითარებაში გაუგებარია, ამ საკითხისადმი ახალი პარლამენტის დამოკიდებულება. საინტერესოა, რატომ ხუჭავენ თვალს აშკარა უკანონობაზე, როცა სააკაშვილი 20 იანვრის შემდეგაც ყოველგვარი ლეგიტიმაციის გარეშე პრეზიდენტად წარმოგვიდგება.

თუ საქართველოს ამჟამინდელ პარლამენტს არაფრად მიაჩნია, სააკაშვილის უფლებამოსილების ვადის გასვლა, სხვა საკითხია, მაგრამ როგორც ჩანს, პარლამენტს არ სურს იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყება და ახალი თავსატეხის გაჩენა.

„კოალიცია გადაწყვეტს, ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, თუ რა შემთხვევაში დაუჭერდა მხარს ირაკლი ალასანიას პრეზიდენტის პოსტზე.

წულუკიანმა ვიცე-პრემიერის პოსტიდან ალასანიას განთავისუფლების საკითხზე კომენტარი გააკეთა. წულუკიანმა ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა პრემიერის განცხადებაზე. როგორც მინისტრი ამბობს, პრემიერს უფლება აქვს, საჯაროდ გაკიცხოს, თუ დააშავებს.

– თუ იუსტიციის მინისტრი შეცდომას დაუშვებს, პრემიერს უფლება აქვს, მე საჯაროდ გამკიცხოს, – ამბობს წულუკიანი.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე მისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ვიცე-პრემიერის თანამდებობას ირაკლი ალასანია პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების საფუძველზე ჩამოშორდა. როგორც თეა წულუკიანმა აღნიშნა, ჩაითვალა, რომ ალასანიას აკისრია ისეთი დიდი ტვირთი, როგორიც არის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქართულ ჯარზე ზრუნვა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა.

– აქედან გამომდინარე, პრემიერმა მასთან შეთანხმებით გადაწყვიტა, ალასანიას მოხსნოდა ის ზედმეტი ტვირთი, რაც არის ვიცე-პრემიერობა. თუ ორ ადამიანს შორის იყო ერთი ერთზე შეხვედრა და ე.წ. მძიმე საუბრები, ამის შესახებ ჩემთვის ცნობილი არაფერია. ამ დიალოგიდან რამეც რომ ვიცოდე, საჯაროდ ამაზე მაინც ვერ ვისაუბრებდი. თავდაცვის მინისტრმა ამ საკითხზე კომენტარი უკვე გააკეთა, პრემიერმაც უფრო მეტი დეტალი გახადა საჯარო, შესაბამისად, მე მეტი კომენტარის გაკეთება ამ თემაზე არ მევალება, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ის არ დასწრებია „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკური საბჭოს იმ სხდომას, რომელზეც, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანიაზე, როგორც მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატზე, იმსჯელეს.

– მე პარტიის იმ სხდომას, სადაც ეს საკითხი იყო განხილული, არ ვესწრებოდი. თუმცა ირაკლი ალასანიამ მე მკითხა აზრი და მე ვუპასუხე, თუ იქნება იგი კოალიციის ერთიანი კანდიდატურა და ეს იქნება ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული, რატომაც არა. ასეთი იყო ჩემი პასუხი. იყო თუ არა ეს ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული, ჩემთვის უცნობია. თავად პარტიაში, „თავისუფალ დემოკრატებში“ რა ტიპის აზრთა გაცვლა-გამოცვლა შედგა იმ კონკრეტულ შეხვედრაზე, ამასთან დაკავშირებით არაფერი ვიცი, რადგან მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრი ვარ, ხშირად ვერ ვნახულობ დროს, პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომებზე დასასწრებად. – განუცხადა ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა.

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერობის პოსტიდან გათავისუფლებაზე კომენტარი მინისტრთა კაბინეტის კიდევ ერთმა წევრმა, სოზარ სუბარმა გააკეთა.

სოზარ სუბარის განცხადებით, პრემიერ-მინსიტრმა თქვა ის, რაც თქვა. ასეთი პასუხი ჟურნალისტებს სუბარმა მას შემდეგ გასცა, რაც ჟურნალისტებმა მინისტრს ალასანიას საჯაროდ გაკიცხვის მართებულობაზე ჰკითხეს.

სასჯელაღსრულების მინისტრის განცხადებით, საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით კოალიციაში გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, რადგან ამ თემაზე არ უმსჯელიათ.

– ირაკლი ალასანიას თანამდებობა არ დაუტოვებია. ის არის თავდაცვის მინისტრი და ეს უმნიშვნელოვანესი პოსტია, ერთ-ერთი წამყვანი პოსტი ქვეყანაში. ის აგრძელებს ამ სფეროში ძალიან სერიოზულ მუშაობას, ჯარის აღმშენებლობას. ალასანია საქართველოს მთავრობის წევრია და ძალიან წარმატებული წევრი. – განაცხადა სოზარ სუბარმა.

სასჯელაღსრულების მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრემიერის თქმით პრეზიდენტი არბიტრი უნდა იყოს.

– თუ ვინ იქნება საქართველოში პრეზიდენტობის კანდიდატი, ამას გადაწყვეტს კოალიცია. ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს არბიტრი, შესაბამისად, ეს პოსტი უნდა დაიკავოს ადამიანმა, რომელსაც ექნება დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ამას გამოიყენებს, როგორც არბიტრი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის, – აღნიშნა სოზარ სუბარმა.

აღნიშნული განცხადებები მინისტრებმა იუსტიციის სამინისტროში თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შემდეგ გააკეთეს.

საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელმა შეიძლება არ გაამართლოს

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, სალომე ზურაბიშვილი პარიზიდან საკუთარ ფეისბუკის გვერდზე საქართველოს სახელმწიფო მოწყობის მოდელზე საუბრობს.

ზურაბიშვილი ქვეყნის მართვის მოდელზე სერიოზულ განსჯაზე, ფიქრის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაზე მიანიშნებს და არა იმაზე, რა აწყობს გრიშას თუ მიშას.

როგორც ჩანს, ზურაბიშვილი ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო მოდელის მომხრე არ არის.

დიპლომატი განმარტავს ორივე მოდელს და მის ავკარგიანობაზე წერს.

ზურაბიშვილის განცხადებით, საპრეზიდენტო რესპუბლიკის მაგალითი სააკაშვილის მმართველობა არ უნდა იყოს და არც საპარლამენტო მოწყობის მაგალითი არ უნდა იყოს პირველი რესპუბლიკა.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, საქართველოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკა მაინცდამაინც გამართლებული და აუცილებელი რეჟიმი არ არის.

ამის შესახებ ზურაბიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევასთან დაკავშირებით უმრავლესობის ინიციატივასთან დაკავშირებით განაცხადა.

– ვთვლი და ყოველთვის ვთვლიდი, რომ საქართველოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკა მაინცდამაინც ყველაზე გამართლებული და აუცილებელი რეჟიმი არ არის. სამწუხაროდ, საქართველოში ეს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი არასოდეს ყოფილა. არც ყოფილა ხალხისთვის ახსნილი, თუ რას გულისხმობს საპარლამენტო რეჟიმი, რა სიკეთის მომტანია ან რა უარყოფითი ხასიათის მატარებელი საპრეზიდენტო რეჟიმი. ჩვენ ვმსჯელობთ საპრეზიდენტოზე სააკაშვილის მაგალითით, (რაც სინამდვილეში საბჭოთა ტიპის დიქტატურა და არა ჭეშმარიტი საპრეზიდენტო წყობა იყო) და საპარლამენტოზე, რაღაც მიღებულ კლიშეებით ან კიდევ მითიური პირველი რესპუბლიკის მითით. მაგრამ ცოტამ იცის, თუ რა მახინჯ ფორმებს იღებს ზოგჯერ საპარლამენტო წყობა, როცა არც ძლიერი პარტიები არსებობენ და არც ძლიერი სამოქალაქო ინსტიტუტები და ქვეყანა პარტიული შეჯახების არეალი ხდება. – ამბობს სალომე ზურაბიშვილი.

ზურაბიშვილს დიდი ბრიტანეთის მაგალითი მოჰყავს, სადაც უძველესი საპარლამენტო ტრადიცია არსებობს ქვეყნის მართვის.

– სხვაა ინგლისის მაგალითი, სადაც ძლიერი პარტიები და დემოკრატიული ინსტიტუტები არსებობენ და უძველესი საპარლამენტო ტრადიციაა. საპარლამენტო რეჟიმს ზოგი პარტია მხარს უჭერს არა სერიოზულ ქართული კონსტიტუციური ისტორიისა და ტრადიციების საფუძველზე, არამედ იმიტომ, რომ ისეთი პოპულარობით აღჭურვილი ლიდერი არა ჰყავთ, რომელიც საპრეზიდენტოში გამარჯვების იმედს აძლევდეს. სხვები კი საპრეზიდენტოს უჭერენ მხარს, რადგან თვლიან, რომ შანსი მათ გააჩნიათ. ამ დროს ჯერ არ ყოფილა სერიოზული განხილვა იმისა, თუ საქართველოსთვის რომელი წყობა უკეთ დააკმაყოფილებს მის შინაგან კულტურულ და მენტალურ მოთხოვნებს. ეს სერიოზული საკითხია და ვერ გადაწყდება იმით, თუ ვინ ფიქრობს, რომელი ერთი ვარიანტი უფრო მომგებიანია. – ამბობს სალომე ზურაბიშვილი.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მიიჩნევს, რომ საქართველო მუდმივად ეძებს მეფეს და ამას თავისი მიზეზი აქვს. ის ამ მიზეზს ასე ხსნის:

– საქართველო, როგორც ტიპური „მონარქიის ტრადიციის მქონე“ ქვეყანა – მუდმივად ეძებს თავის „მეფეს“ და სამწუხაროდ, ამ ძიებაში ზოგჯერ თავის სულს კარგავს და ზოგჯერ კი ამ მეფის მოლოდინში ბევრ შეცდომებს უშვებს. ამიტომ ამ საკითხს კარგად მოფიქრება სჭირდება. საჯარო განხილვა, მშვიდი და არა პარტიების ამბიციებზე დაყრდნობილი. ერთხელ ჩვენს თანამედროვე ისტორიაში კარგი იქნებოდა, თუ არ ავჩქარდებოდით, გავაანალიზებდით დადებით და უარყოფითი მხარეებს ორივე წყობის (და მათ შუალედურ ვარიანტებსაც) და არა პიროვნულად, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გადავწყვეტდით, თუ რა გვინდა და არა იმის მიხედვით, გრიშას აწყობს თუ მიშას, – აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

რკინიგზის საქმეს პროკურატურა შეისწავლის

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლაპარაკების გზით ვაგონშემკეთებელ კომპანიასთან ხელშეკრულება წინასწარ გააფორმა და მას სატენდერო თანხის 50% წინასწარ გადასცა. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება გააფორმა რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების დირექტორმა დავით ჯინჯოლიამ, რომელიც იმ პერიოდში ვაგონშემკეთებელი კომპანიის ერთ-ერთ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული წილის მფლობელი გახდა. ვაგონშემკეთებელ კომპანიას ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით, 2012 წლის დეკემბრისთვის რკინიგზისთვის უნდა ჩაებარებინა 30 ახალი ხორბალმზიდი და 160 გარემონტებული ვაგონი, თუმცა პირობა არ შეასრულა და მხოლოდ 35 შეკეთებული ვაგონი ჩააბარა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვსვამთ კითხვას, რატომ ჩაიშალა თავის დროზე ტენდერი? რატომ იქნა გატანილი ის ერთ ლოტად? რის საფუძველზე გადაუწყვიტა საქართველოს რკინიგზამ კომპანიას ავანსად 50%? და რატომ გახდა ჯინჯოლია ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიის მეწილე? გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სახეზეა საქართველოს რკინიგზის და ვაგონშემკეთებელი კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფინანსური სახსრების თაღლითური გზით მითვისების სქემა, სწორედ ამიტომ, ჩვენ დროებით შევაჩერებთ კომპანიისთვის მომდევნო ტრანშის გაცემა, – განაცხადა კოკა გუნცაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე გუნცაძემ ჟურნალისტებს განუცახდა, აღნიშნულ მასალებს ის დღესვე შესაბამისი რეაგირებისთვის მთავარ პროკურატურას გადაუგზავნის.

25 იანვარს ედუარდ შევარდნაძეს 85 წელი უსრულდება

ედუარდ შევარდნაძეს 25 იანვარს, წარმოგიდგენიათ, 85 წელი უსრულდება. მაინც რა სწრაფად გარბის დრო. არადა, თითქოს სულ ახლახან იყო: რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში ლიდერობაც, პარტიის მცხეთისა და პირველი მაისის რაიკომების ხელმძღვანელობაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეფის პოსტიც, რამდენიმე თვე პარტიის თბილისის ქალაქკომშიც, დაბოლოს, მაშინდელი საქართველოს სსრ-ს პარტიულ იერარქიაში უმაღლეს საფეხურზე ასვლაც. თითქოსდა მეტი რაღა უნდა ყოფილიყო?! მაგრამ თურმე ნუ იტყვით! და ბედმა ედუარდ შევარდნაძე უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის პოსტზე აიყვანა. ის სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრია.

ჩვენ ხელთ გვაქვს გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციისა და შპს „ნეოსტუდიის“ მიერ ედუარდ ამბროსის ძის საიუბილეოდ გამოცემული წიგნი. „და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა“ – ასე ჰქვია ამ წიგნს. მისი ავტორია ე.შევარდნაძის თანაშემწე მისი სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობისას თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძე.

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „ფავორიტ-პრინტში“.

ჩვენი თანამოსაუბრე გახლავთ ვადიმ ანასტასიადი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი. სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე იხილა პირველად დღის სინათლე თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძის დღიურებმა.

– თუ შეიძლება, გვიამბეთ „ვეჩერნი ტბილისის“ ფურცლებზე თეიმურაზ სტეპანოვის დღიურების გამოჩენის წინარე ისტორია.

– დავიწყებ იმით, რომ საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს, საქინფორმის დირექტორი თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძე ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა საქართველოში, ურომლისოდაც ედუარდ შევარდნაძე ვერ წავიდოდა და რომელიც მოსკოვშიც თან წაიყვანა, სმოლენსკის მოედანზე, როდესაც 1925 წელს სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში გადადიოდა ამ თანამდებობაზე. იმაში, რომ ისეთი ბრწყინვალე ჟურნალისტი, როგორიც თემო სტეპანოვი იყო, სსრკ საგარეო პოლიტიკური უწყების შეფის თანაშემწედ მუშაობისას ყველაზე საინტერესო მოვლენების დაფიქსირების შესაძლებლობას ხელიდან რომ არ გაუშვებდა, ეჭვი იმთავითვე არ უნდა შეგვპარვოდა. ამასთან, თბილისში პერიოდულად ჩამოსვლისასაც და მოსკოვში შეხვედრების დროსაც ის თვითონვე ყვებოდა, რომ ოდესმე აუცილებლად მოახერხებდა და საკუთარ ჩანაწერებს გამოაქვეყნებდა. ერთხელ მოსკოვში რომ დავურეკე, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი ჩართული მის საუბარში, კოლეგას თუ მეგობარს ელაპარაკებოდა. ის უნებლიეთ მოსმენილი საუბარი ახლაც მახსოვს: თემო ასახელებდა იმ ხანებში ცნობილ ერთ-ერთ ჟურნალისტს, რომელიც დროდადრო ჩნდებოდა ტელეეკრანზე და შევარდნაძის საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაზე მსჯელობდა. თემო ბრაზობდა, ის ჟურნალისტი ამ ინფორმაციის მეასედსაც კი არ ფლობს, მე რომ მაქვსო. არადა, თვითონ, თემო, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო, იძულებულია, პირდამუწული იდგეს თავისი პატრონის გვერდით. სამწუხაროდ, თემო უდროოდ განეშორა წუთისოფელს, ისე, რომ თავისი ჩანაწერების გამოყენება ვერ მოასწრო.

მოგვიანებით ჩემი და თეიმურაზის საერთო მეგობარმა, იური გავამ, რომელიც 1990-იანი წლების მიწურულს მოსკოვში საქართველოს საელჩოში მუშაობდა, თემოს მეუღლის – ადას თხოვნით, მაშინდელი პრეზიდენტისთვის გადასაცემად თბილისში გადმოგზავნა მისი სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტებით სავსე უამრავი რაოდენობის საქაღალდე. გავამ ვარაუდი გამოთქვა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, იმ დოკუმენტებს შორის თემო სტეპანოვ-მამალაძის დღიურის ჩანაწერებიც ყოფილიყო. და როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც ედუარდ შევარდნაძემ თავისი მემუარების წიგნზე – „ფიქრები წარსულსა და მომავალზე“ – მოულოდნელად განაცხადა, რომ წიგნზე მუშაობისას მას საშუალება არ ჰქონდა, თემოს დღიურის ჩანაწერებით ესარგებლა, არადა, ეს ჩანაწერები ძალიან დაეხმარებოდა მუშაობაში.

ეს როგორ მოხდა? რა იქნა დღიურები? ამ კითხვებით მივმართავ მწერალ კობა იმედაშვილს, რომელიც წიგნზე მუშაობაში ეხმარებოდა შევარდნაძეს. და კვლავ უარყოფით პასუხს ვისმენ: არა, მას და შევარდნაძეს თემოს არანაირი ჩანაწერები არ ჰქონიათ და მათ ამ ჩანაწერებით არ უსარგებლიათ. დღიურების შესახებ კვლავ ვეკითხები იური გავას და კვლავ ვისმენ მისგან ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ის დიპლომატიური ფოსტით მოსკოვიდან თბილისში რეგულარულად აგზავნიდა დოკუმენტებიან საქაღალდეებს.

„და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა“



მე ამ პერიოდში ორჯერ მომიხდა ედუარდ შევარდნაძისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა და, ცხადია, ორჯერვე ვკითხე მას დღიურების შესახებ. ამასთან, გავას ინფორმაციას ვიშველიებდი, მაგრამ პასუხი ორჯერვე ერთნაირი იყო: არა, თეიმურაზის ოჯახისგან ყოფილ პრეზიდენტს არანაირი დღიურები არ მიულია.

ამასობაში სტეპანოვ-მამალაძის გარდაცვალებიდან ათი წელი გავიდა და მე ვთხოვე ედუარდ ამბროსის ძეს, გამოხმაურებოდა ამ თარიღს – მისმა უახლოესმა თანაშემწემ და სპიჩრაიტერმა თავისი შემოქმედებითი გზა ხომ თბილისურ „ვეჩორკაში“ დაიწყო. შევარდნაძემ თეიმურაზზე ძალზე თბილისი სტრიქონები დაწერა, რომლებიც მე გაზეთში გამოვაქვეყნე და, რაღა თქმა უნდა, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, მეორე დღესვე გადამეგზავნა ეს წერილი თეიმურაზის ვაჟიშვილისა და მეუღლისათვის, რომლებიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობენ. თემოს ვაჟიშვილმა, გიორგიმ, მადლობით მიპასუხა. მერე და მერე ჩვენ შორის მიმოწერა გაიბა, საიდანაც გაირკვა, რომ იმ დოკუმენტების საქაღალდეებში, რომელთა შესახებაც იურა გავა მიყვებოდა, მხოლოდ ოფიციალური მასალები იყო, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფის თანამდებობაზე მუშაობას შეეხებოდა, მაშინ როცა თავად თეიმურაზისეული დღიურები გიორგის ჰქონია. ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ მამისეული დღიურების „ვეჩორკაში“ გამოქვეყნება შემომთავაზა, რაზეც მე, ცხადია, დიდი სიხარულით დავეთანხმე.

– რას წარმოადგენს თეიმურაზ სტეპანოვის დღიურის ჩანაწერები? როგორ იქმნებოდა ის?

– ეს უთუოდ ჟურნალისტიკის უნიკალური ჟანრია. საუბარია არა უბრალოდ ოპერატიულ პროფესიულ მუშაობაზე, როგორც იტყვიან, არა მასალების შეგროვებაზე, არამედ მოვლენების ჭვრეტაზე შიგნიდან, სიღრმიდან, რის შესახებაც ძალზე ტევადად და ძალზე ზუსტად არის ნათქვამი გიორგი სტეპანოვის შესავალ სიტყვაში, დღიურების ჩანაწერების წიგნს რომ აქვს წამძღვარებული.

აი, რას წერს იგი: „მამას დღიურები, მოდით, ასე ვთქვათ, რეალური დროის რეჟიმშია შექმნილი, 1985 წლიდან 1991-ის ბოლომდე ეს არის რეპორტიორის ბლოკნოტებში გაკეთებული ჩანაწერებისა და შენიშვნების ლიტერატურულად გაფორმებული კვინტესენცია, იმ ბლოკნოტებში, რომლებიც ყოველთვის თან ჰქონდა – თეთრი სახლის დერეფნებში, მინისტრის თვითმფრინავის სალონში თუ მეკონგის სანაპიროზე... ბლოკნოტის ჩანახატები არცთუ იშვიათად ექსტრემალურთან მიახლოებულ პირობებში იბადებოდა – სასტუმროებში უძილო ღამეების დროს, აეროპორტში მუხლის თავზე, ზეზეურად, ნაჩქარევად, ათობით საათის სარტყლის გადაკვეთისას, მამას ავადმყოფი გულის გახშირებული გულისცემის ხმაზე. თუმცა, ეს ჩანაწერები, დროის ტვიფარიც კი არ არის, ეს მისი, თეიმურაზ სტეპანოვის, მისი წრფელი სულის ტვიფარია, ტკივილითა და ჭმუნვით რომ ეხმაურებოდა ქვეყნის უბედურებებს: ჩერნობილს, მიწისძვრას სომხეთში, 1989 წლის 9 აპრილის შავბნელ თბილისურ ღამეს და სხვა კატაკლიზმებს. გარდა ამისა, ამ ჩანაწერებში ბევრი გულგამგმირავი სტრიქონია საქართველოს შესახებ, ისეთი, რომლებიც, იმედი მაქვს, ქართველ მკითხველს დააინტერესებს“.

– პირადად თქვენ ისეთი რა აღმოაჩინეთ თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძის დღიურების კითხვისას, რაც თქვენთვის სიახლეა?

– უწინარეს ყოვლისა, მე ახალ სიბრტყეში დავინახე დღიურის ჩანაწერების მთავარი მოქმედი გმირის – ედუარდ შევარდნაძის პორტრეტი. კი, მე შესაძლებლობა მქონდა, თავად გავცნობოდი მის მოღვაწეობას აქ, საქართველოში. აქედან, შორი მანძილიდან მედევნებინა თვალი მისი საქმიანობისთვის მოსკოვსა და უცხოეთში, წამეკითხა მის შესახებ, მომესმინა მისი გამოსვლები, მაგრამ იმან, რაზეც ამ უთუოდ გამორჩეულ, ნიჭიერ ადამიანზე თეიმურაზის დღიურებშია მოთხრობილი, სსრკ ყოფილი საგარეო მინისტრის ახალი, მანამდე უცნობი ნიშან-თვისებები დამანახა.

რაღა თქმა უნდა, დღიურებში მე დავინახე თავად თემო, არაგულგრილი ადამიანი და ჟურნალისტი, სულითა და გულით, მთელი არსებით რომ განიცდიდა თავისი ქვეყნის ბედს. შეიძლება ითქვას, რომ თემოს თვალწინ იქმნებოდა ჩვენი დროის ახალი ისტორია, მას ბედნიერება ერგო წილად, ყოფილიყო არა მარტო მისი მოწმე, არამედ მემატიანეც. ყოველდღე გადაჰქონდა თემოს ნანახი და გაგონილი ქაღალდზე. უამრავი შთაბეჭდილება, დაკვირვება, პოლიტიკური მოღვაწეების – ედუარდ შევარდნაძის თანამოსაუბრეებისა და პარტნიორების პორტრეტების გამოკვეთილი აღწერილობა, სახლები, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი მოწიწებულ თრთოლვას იწვევს: დენ სიაოპინი, რეიგანი, ფიდელ კასტრო, აიათოლა ჰომეინი, ბუში-უფროსი, კოლი, ჰონეკერი, ჩაუშესკუ, სადამ ჰუსეინი, კიმ ირ სენი, კიმ ჩენ ირი... თითოეული ამ პერსონაჟთაგანი თეიმურაზის მიერ ისეა დანახული და წარმოჩენილი, როგორც მხოლოდ ძალიან დაკვირვებულ ადამიანსა და დახვეწილ ანალიტიკოსს შეეძლო, დაენახა და წარმოეჩინა.

თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძის დღიურები უთუოდ ბოლოს მოუღებს იმ მრავალწლიან მითქმა-მოთქმასა და სპეკულაციებს იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ჩამოსული ედუარდ შევარდნაძე თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების წინა დღეს. თეიმურაზი ამასთან დაკავშირებით სავსებით ცალსახა, არაორაზროვანსა და ამომწურავ პასუხს იძლევა. აქვე უნდა ითქვას, რომ თბილისის სისხლიანი მოვლენებისადმი მიძღვნილი ფურცლები, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი, დაუვიწყარი და სახიერი ფურცლებია.

და კიდევ ერთი, ჩემი აზრით, ძალზე საგულისხმო დეტალი. თავის ამ ჩანაწერებს თეიმურაზ სტეპანოვი 1985 წელს, ანუ მაშინ იწყებს, როდესაც საბჭოთა კავშირი სუპერსახელმწიფოს წარმოადგენდა, დამთავრებით კი 1991-ში მოახლოებული ქაოსისა და სსრკ-ს დაშლის ვითარებაში დაამთავრა. ბუნებრივია, მანევრის შესაძლებლობა უწყებას, რომელსაც შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, ამ დროისთვის მკვეთრად შეზღუდული აღმოაჩნდა, ოპონენტებსა და პარტნიორებზე პოლიტიკური ზეგავლენის ინსტრუმენტები, ფაქტობრივად, მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მიუხედავად ამისა, არც სამინისტრო და არც მისი შეფი აქტიურობას არ ამცირებენ და ძველებურადვე დაჟინებით ცდილობენ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებას.

– შევარდნაძეს 85 წელი უსრულდება და ჩვენ ვერ ავირიდებთ საუბარს მის როლზე თანამედროვე ისტორიაში. ზოგჯერ გაიგებთ, თითქოს ის მზად არ იყო სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფის პოსტზე ესოდენ მნიშვნელოვანი მისიის აღსასრულებლად, მას რომ ერგო წილად, რადგან შესაბამისი დიპლომატიური გამოცდილება არ ჰქონდა. თქვენ როგორღა ფიქრობთ, როგორია თქვენი აზრი?

– ამ კითხვაზე დღიურებში, აგრეთვე წიგნში „და მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა“ ამომწურავი პასუხია გაცემული. აი, რას წერს თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძე: „სიხარულით ვარ აღსავსე ე.შ.-სთან დაკავშირებით. მინდა ვიფიქრო, რომ მასთან და ცოტათი ჩემთან დაკავშირებული სიამაყის სიხარული ერთგვარ „ვასალურ აზროვნებაში“ არ ძევს. ჩემთვის ცხადი მისი ამჟამინდელი ცხოვრების მხოლოდ საჯარო მხარეა. უფრო მეტის პრეტენზია არა მაქვს და უფრო მეტზე არც ის მიდის. მაგრამ ის, რასაც ვხედავ, რაც მესმის, ვგრძნობ, რთულ, თუმცა, მთლიანობაში პოზიტიურ გრძნობას იწვევს. ამ გრძნობაში ჩაქსოვილია ჩემი სამშობლოს სიხარულიც, რომლის წიაღიდანაც გამოვიდა პროგრესული იდეის მატარებელი ეს ადამიანი და სიამაყეც, ამ ადამიანის ნაცვლად რომ განვიცდი, რომელმაც შეძლო, ასე სრულად და გაბედულად გამოეხატა ის და იმის ისტორიულობის ერთგვარი შეგრძნება, რაც მისი უშუალო მონაწილეობით ხდება, ზოგჯერ კი პირდაპირ მის მიერ ყალიბდება“.

ჩემი მხრიდან კი მე ასე ვუპასუხებ: ედუარდ შევარდნაძეს ხანგრძლივი დროის მანძილზე ეკავა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის პოსტი. შეგიძლიათ დაასახელოთ რომელიმე სხვა სარბიელი, სადაც ადამიანი შეძლებდა, იმაზე მეტი დიპლომატიური ალღო შეეძინა და იმაზე უფრო მეტი დიპლომატიური გამოცდილება დაეგროვებინა, ვიდრე ის, რომლითაც შევარდნაძე მოქმედებდა? პოპულარული ხალხური ზღაპრის იმ გმირის პერიფრაზი რომ გაეკეთებინა, რომელიც, როგორც ცნობილია, ასეთ სიტყვებს მღეროდა: „მე ბაბუსაც გავექეცი, მე ბებოსაც გავექეცი, მგელო, შენ ხომ გაგექცევი და გაგექცევი...“, ედუარდ შევარდნაძეს შეეძლო, თავის თავზე ეთქვა: „განა შეუძლიათ, რაიმეთი გააკვირვონ რეიგანმა და შულცმა ადამიანი, რომელმაც წვრთნა ბრეჟნევის, ანდროპოვისა და სუსლოვის ხელში გაიარა“.

– ედუარდ შევარდნაძესა და საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს ერთმანეთს ხომ ვერ შეადარებდით?

– ნებისმიერი ამგვარი შედარება არაკორექტულია. თუნდაც ფეხბურთთან გავავლოთ პარალელი. განა შეიძლება, ვთქვათ, ერთმანეთს შევადაროთ პელე და მესი, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში ქმნიდნენ მინდორზე თამაშს, სახელად ფეხბურთი? სასაცილო კითხვა. ანდა, მოდით, სხვაგვარად დავაყენოთ იგი: რომელი ქართველი ფეხბურთელი იყო უფრო წარმატებული – ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი თუ კახი კალაძე? თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ბორის პაიჭაძე, არც მიხეილ მესხი არასდროს არც ერთი ქართული მთავრობის წევრი არ ყოფილან, ხოლო კახი კალაძე უბრალოდ მინისტრი და ვიცე-პრემიერი კი არ არის, არამედ საქართველოს მთავრობის ყველაზე მდიდარი წევრიც, პასუხი თავისთავად გამომდინარეობს. მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველაფერი ასე მარტივი არაა.

საქართველოს ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე 44 წლის ასაკში გახდა და ჯერ კიდევ მაშინ გამოარჩევდა მას დიდი ქარიზმა, საფუძვლიანობა, სიმტკიცე. მას ისეთი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა, რომელიც სიტყვებს ჰაერში არ ისვრის, რომელმაც იცის, რასაც ამბობს. რესპუბლიკის იმ თაობის მოქალაქეებს მოსწონდათ, რომ პირველი პირის დაპირებებს ფასი და ძალა ჰქონდა. მისგან არასდროს სმენიათ ის, რასაც უბრალო მეტყველებაში „წამოყრანტალება“ ჰქვია. მახსოვს, როგორ ჩამოვიდა თბილისში ეგორ იაკოვლევი, ცნობილი გაზეთის „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მომავალი რედაქტორი, იმხანად კი „იზვესტიის“ მიმომხილველი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ იყო დისიდენტი. ჩემი თანაკურსელი და კოლეგა ტატიანა ჭანტურია, რომელიც წარმოადგენდა „იზვესტიას“ საქართველოში, შემდგომში ყვებოდა, როგორი სკეფსისით მიდიოდა იაკოვლევი შევარდნაძესთან შეხვედრაზე და როგორი აღფრთოვანებული დაბრუნდა მისგან. ვშიშობ, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსებისგან ცოტას თუ შეუძლია, ერუდიციის სიღრმით, დარწმუნების უნარით ესოდენ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს თანამოსაუბრეებზე.

და კიდევ, მე ვფიქრობ, რომ 2003 წლის ნოემბერში შევარდნაძე 75-ის კი არა, 10-15 წლით მაინც უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, ადვილად „დადებდა ბეჭებზე“ ყველა თავის ყოფილ „აღსაზრდელს“, რომლებმაც გამოწვევა ესროლეს და ალბათ, ვერც მე და ვერც თქვენ ვერასდროს გავიგებდით რაღაც „ვარდების რევოლუციის“ ამბავს.

– როგორ შეაფასებენ შთამომავლები შევარდნაძის როლს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში?

– პასუხი, ალბათ, ასეთი იქნება: როგორც არ უნდა წარიმართოს მომავალში საქართველოს ბედი, ვინც და როცა არ უნდა იდგეს ამ ქვეყნის საჭესთან, მას ერთი საძირკველი ექნება – ის, რომელიც ედუარდ შევარდნაძის დროს იქნა ჩაყრილი.

ესაუბრა რევაზ გაჩეჩილაძე

„საბა“ 2013 საერთაშორისო ხდება

ლიტერატურული კონკურსი იწყება

ეკა ირემაშვილი

ლიტერატურული პრემია „საბა 2013“ იწყება. თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მაიკო ძირკველიშვილმა განაცხადა:

– დღეიდან თიბისი ბანკი ოფიციალურად აცხადებს ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსის „საბა“ დაწყებას. წლევანდელი, რიგით მეთერთმეტე „საბა“ მნიშვნელოვან სიახლეს სთავაზობს საზოგადოებას. ამიერიდან კონკურსი საერთაშორისო მასშტაბს იძენს. მასში უცხოელი ლიტერატორები და მთარგმნელებიც მიიღებენ მონაწილეობას. გაიზარდა ნომინაციების რაოდენობაც – წელს „საბა“ 10 ნომინაციაში გაიცემა. ახალი ნომინაცია, რომელიც კონკურსს დაემატა, გულისხმობს ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანის გამოვლენასა და დაჯილდოებას. ახალი პრიზის დაწესება მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის უცხოურ ენაზე თარგმნის, მისი საზღვარგარეთ გატანა-პოპულარიზების წახალისებას. ამ ნომინაციაზე განიხილება ნებისმიერი ქართული – თანამედროვე თუ კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანი ნებისმიერ უცხოურ ენაზე, რომელიც წიგნად არის გამოცემული საქართველოს საზღვრებს გარეთ უცხოური გამომცემლობის მიერ. შესაბამისად, ამ ნომინაციაში კონკურსანტები იქნებიან ის ქართველი თუ უცხოელი მთარგმნელები, რომელთაც თარგმნეს ქართული ნაწარმოები. ნომინაცია „ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი“ ისეთივე ყოველწლიური გახდება, როგორც „საბას“ დანარჩენი ტრადიციული 9 ნომინაციაა. წელს, რადგანაც ეს ნომინაცია პირველად ჯილდოვდება, განხილვაზე მოხვდება ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული, ქართული ნაწარმოებების უცხოური თარგმანები. მომავალი წლიდან კი ამ ნომინაციაზეც მოხდება მხოლოდ გასული ერთი წლის ნამუშევრების შეფასება. „საბას“ 5-კაციანი ჟიური ყოველწლიურად იცვლება. წლევანდელი ჟიური მუშაობას თებერვლის შუა რიცხვებიდან შეუდგება და რამდენიმე თვის განმავლობაში განიხილავს და შეაფასებს 2011 წელს გამოცემულ ყველა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებს, ასევე უცხოური ნაწარმოებების ქართულ თარგმანს. რაც შეეხება „ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანის“ ნომინაციას, მასზე წარმოდგენილ ნამუშევრებს საერთაშორისო ჟიური შეაფასებს, რომელიც ქართველი და უცხოელი ლიტერატორებისგან იქნება დაკომპლექტებული. სწორედ მათ მიერ წარმოდგენილ რეცენზიებსა და

დასკვნებზე დაყრდნობით გამოავლენს გამარჯვებულ მთარგმნელს „საბას“ 5-კაციანი ჟიური. ახალი, საერთაშორისო ნომინაციის დამატების შედეგად, პრემია „საბა“ წელს გაიცემა 10 ნომინაციაში – წლის საუკეთესო რომანი, წლის საუკეთესო პოეტური კრებული, წლის საუკეთესო პროზაული კრებული, წლის საუკეთესო პიესა, წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი, წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა, წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა, უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი, ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი და პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

პრემია „საბა“ 2003 წელს დაარსდა თიბისი ბანკმა და პენ ცენტრმა. პროექტის მუდმივი პარტნიორია სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“. პრემიის მიზანია გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენა, ამჯერად უკვე 10 ნომინაციის მიხედვით. გამარჯვებული ავტორები, „საბას“ პრიზთან ერთად, თიბისი ბანკისგან სოლიდურ ფულად პრემიებსაც მიიღებენ.

– რაც შეეხება კონკურსში განაცხადების წარდგენის პირობებს, „საბას“ კონკურსზე წიგნების წარდგენა დღეიდან დაიწყება და 10 თებერვლამდე გაგრძელდება. განაცხადის წარდგენა შეუძლიათ როგორც გამომცემლებს, ისე თავად ავტორებს და მთარგმნელებს. კონკურსზე განაცხადის წარდგენა ხდება ელექტრონულად, „საბას“ ვებგვერდის საშუალებით. სასურველია, კონკურსანტმა თავისი საკონკურსო წიგნის ელექტრონული ვერსია ატვირთოს „საბას“ ელექტრონული წიგნების სახლში, სადაც საზოგადოებას საშუალება ექნება, შეიძინოს და წაიკითხოს საკონკურსო წიგნის ელექტრონული ვერსია.

ოპერის თეატრის სოლისტები კონცერტებს გამართავენ

ეკა ირემაშვილი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები და სიმფონიური ორკესტრი 26 იანვარსა და 1 თებერვალს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტებს გამართავენ.

როგორც ოპერის თეატრის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი აცხადებს, 26 იანვარს სცენა დაეთმობათ ირინე ალექსიძეს, ირინე თაბორიძეს, მარიკა მაჩიტიძეს, არმაზ დარაშვილსა და ზაალ ხელაიას. კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია და კლასიკური მუსიკის მოყვარული მსმენელი მოისმენს არიებსა და სცენებს დონიცეტის, ვერდის, ბიზეს, პუჩინის, ჩილეას ოპერებიდან.

– პირველ თებერვალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეხვდებით ირინე რატიანს, თეიმურაზ გუგუშვილს, სულხან გველესიანს და ლეგი იმედაშვილს, რომლებიც იმღერებენ ვერდის, პუჩინის, ლეონკავალოს, ჩილეას, ჯორდანოს, ფალიაშვილის ნაწარმოებებს. მომღერლებს პარტნიორობას გაუწევს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც წარუძღვება დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო, – ამბობს ზურაბ ოიკაშვილი.

28 იანვარს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მუსიკა მშვიდობისათვის“ გამართავს კონცერტს, რომელზეც დაუკრავენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები მარია ნემცოვა (ფორტეპიანო) და ვიტალი ვატულია (საქსაფონი). კონცერტში მონაწილეობს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი სალომე ჟორდანია. პროგრამაშია შუმანის, ლიგეტის, რახმანინოვის, ბორნისა და ფრანკის ნაწარმოებები. კონცერტზე დასწრება კი თავისუფალია.

კონსერვატორიის მცირე დარბაზში უკვე გაიმართა ქრისტეშობისადმი მიძღვნილი სიმღერა-გალობის კონცერტი და მასში მონაწილეობა მიიღეს მგალობელ-მომღერალთა ანსამბლმა „დიდგორი“, კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორულმა ანსამბლმა, ფოლკლორულმა ანსამბლმა „ელეონი“, მგალობელ-მომღერალთა ანსამბლმა „ნადი“, გორის კულტურისა და სულიერი განათლების ცენტრთან არსებულმა მგალობელთა გუნდმა, მგალობელთა გუნდმა „აღსავალი“, ქაშვეთის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა, რუსთავის წმიდა ვახტანგ გორგასლის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა და ანსამბლმა პატარა „კახი“. ქრისტეშობისადმი მიძღვნილი სიმღერა-გალობის კონცერტზე, მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, დასწრება თავისუფალი იყო.

სპორტის სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის მემორანდუმი გაფორმდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის მემორანდუმი დაიდო.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მემორანდუმს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში – კონსტანტინე სურგულაძემ ხელი მოაწერეს.

სამინისტროს ინფორმაციითვე, მხარეები თანხდებიან რომ ხელს შეუწყობენ – სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან, საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამას, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეების, საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდას, რათა შეძლონ, ერთის მხრივ, ქვეყნის ცხოვრების, ბიზნესის, დასაქმების პროგრამების, სერვისებისა და მათთვის საინტერესო სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება და მეორეს მხრივ, საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან კავშირების შენარჩუნება.

მემორანდუმი ითვალისწინებს აგრეთვე დიასპორული ორგანიზაციების მონაწილეობით სპორტული და ახალგაზრდული სახის ღონისძიებების ჩატარებას და გაცვლითი სახის პროგრამების განხორციელებას უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან დაახლოების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ გეგმას, სადაც ორმხრივი თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები და დეტალები განისაზღვრება.

ნიუსპრესი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.

სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

SMS-განცხადებები - 3090

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე)! საუკეთესო ფირმების („ბოშისა“ და „არისტონის“) ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ოპტიმალური ფასებით – მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62, 267-82-62 – ემზარ ამნიაშვილი.

● ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში, წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 275 კვ.მ. 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 18 კმ-ში. მიმდინარეობს სველი წერტილების მონტაჟი. საწყისი ფასი 30.000 დოლარი. შეიძლება განვადება ტელ.: 592-49-85-55; 595-47-85-55. გია.

განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ჰეიგის რაზმში ცვლილებებია

რამდენიმე დღის წინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების შემადგენლობა გამცნეთ, რომლითაც ნაკრების მთავარ მწვრთნელ მილტომ ჰეიგს ერთა თასის წლევანდელი გათამაშების, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა, საწყისი მატჩების ჩატარება სურდა. პირველ შეხვედრას 2 თებერვალს ბრიუსელში, ცნობილ „ეიზელის“ სტადიონზე ბელგიის ნაკრებთან გამართავს.

„ბორჯღალოსნები“ ამ მატჩისთვის მოსამზადებლად ორშაბათიდან საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში შეიკრიბებიან. თუმცა ტრავმების გამო გუნდს პირველხაზელები ვასილ კაკოვინი (ტულუზი) და დავით ზირაქაშვილი (კლერმონი) დააკლდნენ. მათ 9 თებერვალს პორტუგალიელებთან საშინაო მატჩის გამოტოვებაც მოუწევთ.

ჰეიგმა ასისტენტებთან ილია მაისურაძესთან და ილია ზედგინიძესთან კონსულტაციის შემდეგ ტრავმირებული მორაგბეების ნაცვლად ზურაბ ყვანია (სტად ფრანსე) და ლევან ჩილაჩავა (ტულონი) გამოიძახა.

ყვანია ეროვნული ნაკრების საწვრთნელ შეკრებაში მონაწილეობას პირველად მიიღებს, ჩილაჩავას კი შარშან გამართულ ერთა თასის გათამაშებაში თამაშმაც მოუწია და სტუმრად ესპანეთის ნაკრებს ლელოც გაუტანა.

ფუტსალისტებმა მასპინძლები არ დაინდეს

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუშინ პირველი შეხვედრა გამართა: ავთანდილ ასათიანის გუნდმა მინიტურნირის მასპინძელ მალტას 9:0 სძლია.

ჩვენი ნაკრების მომდევნო მეტოქე მოლდოვაა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნაკრებმა მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვა, ევროჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ჩეხეთის, ბელარუსისა და ჰოლანდიის ნაკრებებს დაუპირისპირდება. შესარჩევი ეტაპის თამაშები 27-30 მარტს ჰოლანდიაში გაიმართება.

მაღტა – საქართველო 0:9

0:1 მაისაია (7), 0:2 კობაიძე (13), 0:3 შელეგია (18), 0:4 გოგოხიძე (19), 0:5 კობაიძე (30), 0:6 სოზაშვილი (32), 0:7 ჯაფარიძე (36), 0:8, 0:9 ლუკავა (38, 39)

მალტა: კრისტიან კასარი; დილიან მუსუ, იოვიცა მილიიჩი, კურტ ბარტოლო, კლინტ კოუპი; რუბენ გრეში, ნიკოლა დელრე, სედრიკ შიებერასი, შონ ველა, ენდი მანიონი, ხავიერ სალიბა, ჯანკარლო სამუტი, პიო შირია, დანიელ ბრინკატი

საქართველო: ალექსანდრე ჯამბურია; მურთაზ კაკაბაძე, ლევან კობაიძე, თემურ ჯაფარიძე, დავით ბობოხიძე; ლევან გაბუჩია, შოთა ჭანუყვაძე, ირაკლი შელეგია, გიორგი ალთუნაშვილი, ავთანდილ ასათიანი, კახა მაისაია, გიორგი სოზაშვილი, ზურაბ ლუკავა, არჩილ სეფისკვერაძე

მეოთხედფინალისტები სტუ-მ შეავსო

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალში მონაწილე 8 გუნდი შეივსო. ბოლო ადგილისთვის მებრძოლ 4 გუნდს შორის ყველას ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა აჯობა.

ტექნიკოსებმა საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალურ მატჩში „სოხუმი“ 84:66 დაამარცხეს.

თასის გათამაშების ფორმატის თანახმად, სუპერლიგის პირველი წრის საუკეთესო 7 გუნდი მეოთხედფინალში ავტომატურად გავიდა, ხოლო მერვე ადგილისთვის ცხრილის მომდევნო 4 გუნდი იბრძოდა. სტუ-მ პირველ საკვალიფიკაციო მატჩში „ბათუმი“ დაამარცხა, ხოლო მომდევნო მატჩში „სოხუმს“ მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა.

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს 31 ქულითა და 14 მოხსნით ტატო ჩაჩიბაიამ ულიდერა, ხოლო გიორგი პირველაშვილმა და გიგა კვეტენაძემ 15-15 ქულა დააგროვეს. კვეტენაძემ მთელი მონაგარი სამქულიანებით შეავსო, რომელმაც 6-დან 5 შორი სროლა ჩაადგო. სოხუმელთაგან 29 ქულით ირაკლი ჩლაიძე გამოირჩა, 15 ქულით და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი დავით დეკანოიძემ შეასრულა.

მეოთხედფინალში სტუ „არმიას“ შეხვდება, ხოლო 11 იანვარს გამართული კენჭისყრის შედეგად დანარჩენი გუნდები პლეი ოფში ასე დაწყვილდნენ: ოლიმპი-დინამო, რუსთავი-ქუთაისი და შსს-თსუ.

შედეგები

ფეხბურთი

აფრიკის ერთა თასი

ს.აფრიკა-ანგოლა 2:0
მაროკო-კაპო ვერდე 1:1

ამხანაგური მატჩები

შვედეთი-ჩრ.კორეა ..... 1:1(4:1პ)
ტაილანდი-ფინეთი 1:3

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ვესტ ჰემი 5:1

სატენნისო ცხრილი:

1.მანჩესტერი	23	18	2	3	57:30	56
2.სიტი	23	15	6	2	45:19	51
3.ჩელსი	23	13	6	4	47:22	45
4.ტოტენჰემი	23	12	5	6	40:28	41
5.ევერტონი	23	9	11	3	35:26	38
6.არსენალი	23	10	7	6	46:27	37
7.ლივერპული	23	9	7	7	40:28	34
8.ვესტ ბრომვიჩი	23	10	4	9	33:32	34
9.სუონსი	23	8	9	6	34:27	33
10.სტოკი	23	6	11	6	22:27	29
11.სანდერლენდი	23	7	7	9	27:31	28
12.ვესტ ჰემი	23	7	6	10	26:33	27
13.ნორვიჩი	23	6	8	9	24:39	26
14.ფულემი	23	6	7	10	33:40	25
15.საუთჰემპტონი	23	5	8	10	30:40	23
16.ნიუკასლი	23	5	6	12	28:41	21
17.ასტონ ვილა	23	4	8	11	19:44	20
18.რედინგი	23	4	7	12	28:43	19
19.უიგანი	23	5	4	14	25:43	19
20.ქარ	23	2	9	12	18:37	15

ინგლისი. ღიგის თასი

სუონსი-ჩელსი 0:0

ესპანეთი. სამეფო თასი

სევილია-სარაგოსა 4:0
ვალენსია-რეალი 1:1

იტალია. თასი

რომა-ინტერი 2:1

საფრანგეთი. თასი

ნიცა-ნანსი ..... 2:2(2:4პ)
მონპელიე-სოშო ..... 2:3(დდ)
რაონი-ისტრი 1:0
მინგიუტი-ლე პუარე ..... 0:0(4:3პ)
მო-სენტ ეტიანი ..... 0:0(3:5პ)
მულენი-ბორდო 1:2
ბასტია-ბრესტი 1:3
სტად ბორდელე-ლანსი 0:3
პსჟ-ტულუზა 3:1

პოხტეგალია. ა ღიგა

სეტუბალი-პორტუ 0:3

საბერძნეთი. თასი

პლატანიას-პანათინაიკოსი 1:0
ასტერასი-ოლიმპიაკოსი(ვ) 2:0

კალათბურთი

ნბა. ჩეგეულარული სეზონი

შარლოტი-ატლანტა 92:104
ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია
მაიამი-ტორონტო ..... 123:116(ოტ)
მემფისი-ლეიკერსი 106:93
მინესოტა-ბრუკლინი 83:91
ჰიუსტონი-დენვერი 95:105
ჩიკაგო-დეტროიტი 85:82
სან ანტონიო-ნიუ ორლეანი .. 106:102
იუტა-ვაშინგტონი 92:88
პორტლენდი-ინდიანა 100:80
საკრამენტო-ფინიქსი 96:106
გოლდენ სტეიტი-ოკლაჰომა ... 104:99

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯენტლმენები

ჯოკოვიჩი-ფერერი 6:2;6:2;6:1

ქალები

შარაპოვა-ლი 2:6;2:6
აზარენკა-სტივენსი 6:1;6:4

ჰოკეი

ნჰლ. ჩეგეულარული სეზონი

პიტსბურგი-ტორონტო 2:5
ნიუ იორკი-ბოსტონი ..... 4:3(ოტ)
ვანკუვერი-კალგარი ..... 2:2(1:0ბ)
ფინიქსი-კოლამბუსი 5:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ირაკლი მესხია: „სიცოცხლის ბოლომდე ქართველად დავრჩები!“

ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში მრავლად არიან მიმოფანტული. ერთი მათგანი 19 წლის ირაკლი მესხიაა, რომელიც უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს და დსთ-ის თასის მეოთხედფინალში, უკრაინა-მოლდოვის 21-წლამდელთა შეხვედრაში გოლი გაიტანა. მასთან ინტერვიუ უკრაინულ მედიაში გამოქვეყნდა.

– უკრაინის 21-წლამდელებში სამი ქართველი თამაშობს: თქვენ, ბადრი აქუბარდია და დავით იაშვილი. ისინი უკვე კიევის „დინამოს“ წევრები არიან. თქვენ რატომ არ ხართ მათთან ერთად?

– ამ ზამთარს კიეველები კონტრაქტს მეც მთავაზობდნენ, მაგრამ არც პირობები მომეწონა და არც ხანგრძლივობა. 5-წლიან ხელშეკრულებას მთავაზობდნენ, რაც საკმაოდ გრძელვადიანია.

– ამჟამად „ობოლონში“ ირიცხებით, რომელსაც არსებობის შეწყვეტა ემუქრება. ხომ არ გამოსწორდა სიტუაცია?

– კვლავაც რთული მდგომარეობაა, მაგრამ მე უკვე წამოვედი „ობოლონიდან“. 6 თვის განმავლობაში ხელფასს არ იხდიდნენ, მხოლოდ პრემიალურებს რიცხავდნენ. სულ მპირდებოდნენ, მაგრამ მორიგი ტყუილის შემდეგ მათთან კონტრაქტი გავწყვიტე.

– ჩივილს აპირებთ?

– არა. როცა ასეთი რთული ფინანსური მდგომარეობა აქვთ, რა აზრი აქვს ჩივილს? პატარა ასაკში ასეთი რეპუტაცია რაში მჭირდება? ფეხბურთის თამაში მინდა და არა – სასამართლოში სიარული. როგორც წესი, კარიერის ბოლოს ჩივიან, როცა ფეხბურთელს ფულის დაგროვება სჭირდება, მე კი ყველაფერი წინ მაქვს. იმაზე მეტს ნამდვილად ვიშოვი, ვიდრე „ობოლონიდან“ მეკუთვნის.

– ფინანსურად უზრუნველყოფილი ხართ?

– არც მანქანა მყავს, არც ძვირფასი ტელეფონი მაქვს... მშობლებთან ერთად, კიევში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. მშობლებისთვის ფულის თხოვნა არ მრცხვენია, რადგან ისინი უახლოესი ადამიანები არიან. ამ ეტაპზე ჯერ არ ვიცი, რას ნიშნავს ფინანსური თავისუფლება.

– აქამდე ვინ გეხმარებოდათ ფინანსურად?

– მშობლები. 5 წლისამ დავიწყე ფეხბურთის თამაში. მშობლები ჩემ გამო გადმოვიდნენ კიევში. ახლა ქართული კაფე აქვთ.

– კარიერის გაგრძელებას სად აპირებთ?

– უეგოროდის „გოვერლასთან“ სეზონის ბოლომდე გავაფორმე საიჯარო ხელშეკრულება. მინდა, გუნდს პრემიერლიგაში დარჩენაში დავეხმარო. აგენტმა მითხრა, რომ „გოვერლას“ მწვრთნელს ჩემი იმედი აქვს, ასე რომ, თურქეთში შევუერთდები გუნდს. ბოლო პერიოდში გავიზარდე, ადრე დაშვებული შეცდომები გავიაზრე და მინდა, სულ წინ ვიარო.

– „გოვერლაში“ თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, გააგრძელებთ ხელშეკრულებას?

– თუ პრემიერლიგაში დარჩებიან, გავაგრძელებ. პირველ ლიგაში დაბრუნება აღარ მინდა. ჩემი კოზირი ტექნიკაა, პირველ ლიგაში კი ეს არ ჭრის, თამაშის საშუალებას არ გაძლევენ. იქ კი არ თამაშობენ, არამედ იბრძვიან. მცველები ისე მოქმედებენ... გახსენებაც არ მინდა. უბრალოდ, უკრაინის პირველ ლიგაში აღარასოდეს ვითამაშებ. იმას არ ვამბობ, თითქოს მესხია განსაკუთრებული დონისაა და მხოლოდ უმაღლესში უნდა გამოდიოდეს. გადავწყვიტე, მხოლოდ წინ გავიხედო და მაღალ დონეზე ვითამაშო.

– თამაშობთ არა საქართველოს, არამედ უკრაინის ნაკრებში. გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდათ?

– როგორც ფეხბურთელი, ჩემს თავს უკრაინაში ვხედავ. მიყვარს ეს ქვეყანა და კიევს მსოფლიოში საუკეთესო ქალაქად ვთვლი, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ქართველად დავრჩები. ასეა, რადგან ქართული სისხლი მაქვს.

– ბოლო დროს უკრაინაში ბევრი ქართველი ფეხბურთელი მოდის. აქ მათი ადაპტაციისთვის საუკეთესო ადგილია?

– შეხედეთ, როგორ თამაშობენ. ფაქტობრივად, ყველანი ლიდერები არიან გუნდებში. თუნდაც, თარგამაძე, კანკავა და ოქრიაშვილი, რომელიც საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, ასევე, ლობჟანიძე, კობახიძე. ყველა მათგანი ძლიერია, ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ. მიხარია, რომ მათ ვიცნობ. მესმის, რომ მოდიან იმ ჩემპიონატში, სადაც კარგად თამაშის და ფინანსურად მოძლიერების შანსი აქვთ. მაგალითად, როდესაც საქართველოდან მოვდიოდი, ფეხბურთელები კლუბს იქით უხდიდნენ ფულს, რათა ევარჯიშათ. ბინის ქირასავით იყო. ამიტომაც, ბევრმა ვერ ითამაშა.

„დინამო“ მარცხით იწყებს, „ვიტ ჯორჯია“ – მოგებით

თბილისის „დინამომ“ პირველი ტესტ-მატჩი გამართა თურქეთში და ყაზახეთის ჩემპიონ ყარაგანდის „შახტიორთან“ 0:1 წააგო. „დინამოს“ ვებგვერდის ტექსტური ონლაინრეპორტაჟის მიხედვით, თბილისელები დროის უმეტეს ნაწილში ფლობდნენ უპირატესობას.

მათი ცნობით, პირველი ტაიმის ბოლოს მერებაშვილის გარღვევისა და პასის შემდეგ, დვალი ურტყამდა და ყარაგანდელთა მცველს ბურთი ხელზე მოხვდა. მსაჯმა პენალტი არ დანიშნა; შეხვედრის ბოლო წუთებზე კი ხმალაძემ თავით გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა.

დინამოელთაგან შანსი მერებაშვილს, შინდაგორიძეს, ხოჭოლავას, რეხვიაშვილსა და ჯიღაურს ჰქონდათ. თავის მხრივ, „შახტიორიც“ ქმნიდა ხიფათს და ერთ-ერთი ასეთი გოლითაც დაასრულა 85-ე წუთზე.

არ უთამაშიათ ჩისკოს, გიორგი სეთურიძეს, ნიკა დიასამიძეს, გიორგი პაპავასა და გივი კვარაცხელიას.

დინამოელთა შემადგენლობა:

პირველი ტაიმი: ლორია, მენდი, შაშიაშვილი, გველესიანი, მალანია, ძარია, ალვარო, კოტო, შინდაგორიძე, მერებაშვილი, დვალი.

მეორე ტაიმი: ზარქუა, ტვილდიანი, ხიზანეიშვილი, რადოვანოვიჩი, რეხვიაშვილი, კვეკვესკირი, ხმალაძე, ჯიღაური, გლიშიჩი, ხოჭოლავა, ტატანაშვილი.

როგორც ხედავთ, „დინამოს“ შემადგენლობაში სამმა ახალწვეულმა ითამაშა:

ემანუელ მენდი 1990 წელსაა დაბადებული. დაცვაში ორივე ფლანგზე და ასევე საყრდენ ნახევარმცველად შეუძლია თამაში. მენდი სენეგალელია და 2008 წელს „ლივერპულმა“ ესპანური „მურსიადან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წაიყვანა. თუმცა, მერსისაიდელთა შემადგენლობაში ერთი მატჩიც არ უთამაშია, სარეზერვო გუნდში კი 35 მატჩი ჩაუტარებია.

დიეგო მალანია 1991 წელს დაბადებული მცველია. უკანა ხაზში სხვადასხვა პოზიციებზე უთამაშია. თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკის“ ახალგაზრდულ გუნდში. ორი წლის წინ პერმის „ამკარში“ მისი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა ბოლო დროს შეთანხმება ჩაიშალა. რუსეთის მოქალაქე მალანია იქაური ჩემპიონატის მეორე დივიზიონის კლუბ „ზნამია ტრუდაში“ თამაშობდა და გუნდის კაპიტანიც გახლდათ. დიეგომ სეზონის პირველ ნახევარში 14 მატჩი ჩაატარა.

ალექსანდრ რადოვანოვიჩი 1993 წელსაა დაბადებული. გამოდიოდა სერბული შაბაცის „მაჩვაში“. ეს სერბეთის რანგით მესამე ლიგაა. 19 წლის რადოვანოვიჩს 32 მატჩი ჩაუტარებია ამ გუნდში.

ახალ წელს საფეხბურთო კლუბმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი ამხანაგური მატჩი პირველი ლიგის წარმომადგენელ სტუ-სთან ჩაატარა და 3:0 გაიმარჯვა.

„ვეტერინართა“ ვებგვერდის ცნობით, მერაბ კოჭლაშვილმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

პირველი ტაიმი: დაუშვილი, ხურცილავა, გეთიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი, გურეშიძე, ვასაძე, ჯანელიძე, კორიფაძე, კუხალეიშვილი.

მეორე ტაიმი: რეჭია, კალანდია, გოგიაშვილი, ადამაძე, ტეტუნაშვილი, იაშვილი, დავლაშელიძე, ღიბრაძე, გაბრიჭიძე, ჯუღელი, ლობჟანიძე.

მატჩში ანგარიში 22-ე წუთზე ჯუღელმა გახსნა, ხოლო 30-ე წუთზე კორიფაძემ თანაგუნდელები კიდევ უფრო დააწინაურა, 90-ე წუთზე, ჯუღელმა დუბლი შეასრულა.

ჯაფარიძე-ტელეგინას წყვილი მეორე ეტაპზე გადავიდა

ხორვატიის დედაქალაქი ზაგრები ფიგურულ სრიალში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. საქართველოს სახელით მოასპარეზე დუეტმა ოთარ ჯაფარიძისა და ანგელინა ტელეგინას შემადგენლობით 23 იანვარს მოკლე პროგრამაში იასპარეზა და 44.94 ქულით მე-18 ადგილი დაიკავა.

ამ შედეგის წყალობით ქართველთა წყვილმა ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინა თავისუფალი პროგრამით დღეს გამოვლენ.

ზაგრებშივე იასპარეზებს ელენე გედევანიშვილი. ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს დღეს მოკლე პროგრამით გამოვა და ფინალში გასვლას ეცდება. გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონი შაბათს, 26 იანვარს, საღამოს, თავისუფალი პროგრამის შემდეგ გამოვლინდება.

ჯანყი მადრიდში

ესპანური მედიის ცნობით, მადრიდის „რეალში“ აჯანყებაა. გამოცემა „მარკას“ ინფორმაციით, კლუბის ოფისში, იკერ კასილიასი და სერხიო რამოსი, კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს შეხვდნენ. ესპანეთის ეროვნული გუნდის ფეხბურთელებმა პრეზიდენტს ღიად განუცხადეს, რომ რომ ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობით მუშაობა არ სურთ.

მეტიც, თუ პორტუგალიელი „რეალის“ სათავეში მომავალ სეზონშიც დარჩება, ისინი კლუბს დატოვებენ. „მარკა“ იმასაც წერს, რომ ჯერჯერობით პერესმა მადრიდელთა წამყვან მოთამაშეებს ასეთ მოთხოვნაზე კონკრეტული პასუხი ვერ გასცა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ კასილიასსა და რამოსს მხარს გუნდის კიდევ ერთი წამყვანი და ავტორიტეტული ფიგურა ჩაბი ალონსო უჭერს.

დავით საყვარელიძემ და ზაალ ჩიქობავამ თანამდებობები დატოვეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რება. სად გააგრძელებს მუშაობას დავით საყვარელიძე, ჯერჯერობით უცნობია. რეჟისორი ოპერისა და ბალეტის თეატრს 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა.

თანამდებობა დატოვა შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამაც. კულტურის მინისტრი განმარტავს, რომ ორივე პირმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა და ამის მიზეზი კულტურის სამინისტროსგან განსხვავებული პოზიციები აღმოჩნდა.

– ორივე თანამდებობის პირმა განცხადება პოსტის დატოვების შესახებ თავად დაწერა. ამის მიზეზი აღნიშნული თეატრის მმართველებსა და კულტურის სამინისტროს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. დავით საყვარელიძეს პირადად შევთავაზე სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში დარჩენა თეატრში, სადაც 9 წლის მანძილზე მოღვაწეობდა, რაზეც საყვარელიძემ უარი განაცხადა. ფაქტია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში სიახლეების განხორციელების საჭიროებაა. დავით საყვარელიძემ ნაყოფიერი წლები გაატარა თეატრში, თუმცა ყველაფერი მოითხოვს განახლებას და დღის წესრიგში დადგა თეატრის დირექტორის შეცვლაც. მე და დავით საყვარელიძეს ხშირად გვქონია საუბრები და მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დავით საყვარელიძე დატოვებდა დირექტორის თანამდებობას. მას აქვს არაერთი პროექტი განსახორციელებელი როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში და კულტურის სამინისტრო ყველანაირად დაუდგება გვერდში დავით საყვარელიძეს. ამ თანამდებობაზე არაერთი კანდიდატი განიხილება, მათ შორის ერთ-ერთი გიორგი ჟორდანიაა. წლის ბოლოს უკვე დასრულდება ოპერისა და ბალეტის თეატრის რემონტი და ვისაც ექნება უკეთესი წინადადება თეატრის განვითარებასთან დაკავშირებით, სწორედ ის გახდება მისი დირექტორი. რაც შეეხება ზაალ ჩიქობავას გათავისუფლების მიზეზს, ეს რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელსა და რობერტ სტურუას შორის შეუთანხმებლობაა. ზაალ ჩიქობავასთან არაერთი შეხვედრა გვქონდა, ის ჩვენი მეგობარია და მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დაეტოვებინა თეატრის მმართველის თანამდებობა. ჩვენ მომხრე ვართ, თეატრი განვითარდეს, უბრალოდ, ვერ მოხდა რობერტ სტურუასა და ზაალ ჩიქობავას შეთანხმება. შესაბამისად და, სავარაუდოდ, თეატრის მმართველის თანამდებობასაც რობერტ სტურუა დაიკავებს. ზაალ ჩიქობავამ გადაწყვიტა, გარიდებოდა კონფლიქტურ სიტუაციას. მალე რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელის პოსტს რობერტ სტურუა დაიკავებს. ორივე თანამდებობის პირს მადლობას ვუხდი განხორციელებული პროექტებისათვის და ხაზს ვუსვამ, რომ ამ გადაწყვეტილებამდე ისინი ერთად მივიდნენ, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

რუსთაველის თეატრის ყოფილი მმართველის ზაალ ჩიქობავას თქმით, უთანხმოებას მასსა და რობერტ სტურუას შორის ნამდვილად იყო. სწორედ ამ უთანხმოების მიზეზით შეჩერდა შემოქმედებითი პროცესი თეატრში ოქტომბრის შემდეგ.

– მიუხედავად სამხატვრო ხელმძღვანელთან ურთიერთობის მოგვარების მცდელობისა, ეს არ მოხერხდა. ჩემი უკანასკნელი გადაწყვეტილება გამომდინარეობდა იმ მომენტიდან, როცა სამხატვრო ხელმძღვანელმა გადმომიგზავნა სია მთელი დასისთვის კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამ სიაში არიან ისეთი მსახიობები, როგორებიც არიან კახი კავსაძე, ჟანრი ლოლაშვილი, მარინა კახიანი, თათული დოლიძე, ნანა ფაჩუაშვილი და მათთან ერთად ახალმოსულ მსახიობებსაც გავუგრძელო კონტრაქტი და გავიყვანო ერთ კატეგორიაში, ჩემთვის მიუღებელია, – ამბობს ზაალ ჩიქობავა. რუსთაველის თეატრის ყოფილ მმართველს იმის მტკიცებაც ბევრჯერ მოუხდა, რომ ის ნაციონალების დანიშნული მმართველი არ ყოფილა. მან ამ თემას საგანგებო პრესკონფერენციაც მიუძღვნა და განაცხადა, რომ თეატრების მმართველების მიმართ ისმოდა ბრალდებები, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყვნენ დანიშნული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

– ჩვენ არ ვართ დანიშნული მმართველები. ჩვენ კონკურსი, ვრცელი გასაუბრების ეტაპი გავიარეთ და ამის შემდეგ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. თუ ლობირება და წახალისება იყო, ეს უკვე სხვა თემაა. შოთა რუსთაველის თეატრის მმართველის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი ჩემ გარდა გია თევზაძეს ჰქონდა შეტანილი. მგონი, იყო მესამე განაცხადიც, თუმცა მესამე განაცხადის ავტორის ვინაობას ვერ ვიხსენებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეგიონულმა მმართველებმა თეატრის განვითარებისათვის უდიდესი სამუშაო შეასრულეს, – აცხადებდა ზაალ ჩიქობავა.

რეჟისორი რობერტ სტურუა არასდროს მალავდა, რომ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობასთან ერთად მისი მმართველობაც სურდა. სამხატვრო ხელმძღვანელად კულტურის სამინისტრომ ოფიციალურად დანიშნა და საგანგებო ბრძანებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამაც მოაწერა.

რობერტ სტურუამ მშობლიურ თეატრში დაბრუნების შესახებ განცხადება მას შემდეგ გაახმოვანა, რაც საქართველოში მთავრობა შეიცვალა. მან „ფეისბუქში“ სპეციალური განცხადებაც განათავსა: „გადავწყვიტე! მოვდივარ! თეატრი არც უფერული მსახიობის ზალიკო (ჩიქობავას) კუთვნილებაა, არც ოლივერისა და არც პატარა ტკიპების, მმართველმა როგორც მურმანივით შეასია თეატრს. მოვდივარ, ეს თეატრი ილიას, აკაკის, იაკობის დაარსებულია და კოტეს ვნებები, ახმეტელის სისხლი, დოდოს თეატრალობა, მიშას ერთგულება მაიძულებს, ამ უზურპატორებს გავუსწორდე. ვინ არიან ეს პუკები ან გაზარმაცებული მსახიობები – თამაში რომ აღარ უნდათ, უბრალოდ, ეშინიათ, ან იმ რეჟისორების სიამაყე, ლონდონის 40 წლის წინ დადგმულ სპექტაკლს ქართულ თეატრში უნიჭოდ რომ იმეორებენ. ამიტომ მოვდივარ! ამ თეატრში მეც ვმუშაობდი და ჩემი ვალია, არ მივატოვო ჩემი სახლი, სადაც 50 წელი გავატარე, ხოლო იმ ვითომ ინტელექტუალურ რეჟისორებზე მეტი ნამდვილად წამიკითხავს. ერთი წიგნით მეტი მაინც. იმ ნიჭიერი მსახიობების, ვისი ხელფასიც ბევრად დაბალია, ვიდრე უნიჭო არტისტების, ნამდვილად ვუშველი. ბოლოს და ბოლოს, ეს რუსთაველის თეატრია! ქართველების ერთადერთი თეატრი. სამწუხაროდ... მოვდივარ!“

მოგვიანებით ეს განცხადება რეჟისორმა ოდნავი შეზარხოშებულობით ახსნა:

– „ფეისბუქში“ ოდნავ შეზარხოშებულმა დავწერე. ალბათ, ფხიზელი რომ ვყოფილიყავი, არ დავწერდი.

საქართველოს დატოვებამდე რეჟისორმა ქართველ საზოგადოებას ახალი სპექტაკლი დაუტოვა, სახელწოდებით „ნადირობის სეზონი“, რომელიც მან თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა. სპექტაკლი თეატრალური პრემიების სრული ტიუმფატორი გახდა – მოიპოვა თითქმის ყველა ნომინაცია და წლის საუკეთესო სპექტაკლადაც დასახელდა. რეჟისორმა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ უამრავი შეთავაზება მიიღო როგორც რუსეთის თეატრებიდან, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის თეატრებიდან, თუმცა არჩევანი ალექსანდრე კალიაგინისა და მისი თეატრის „ეტ ცეტერას“ შეთავაზებაზე შეაჩერა, უკვე წელიწადზე მეტია, ამ თეატრში მთავარ რეჟისორად მუშაობს და თბილისში ამ თეატრში დადგმული ორი სპექტაკლიც ჩამოიტანა. საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, რომ რუსთაველის თეატრში სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლები რეპერტუარიდან მოიხსნა, რაც თეატრის ხელმძღვანელობამ გააპროტესტა და საგანგებო განცხადებაც გაავრცელა:

„საზოგადოებაში გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს, ბატონ რობერტ სტურუას გათავისუფლების შემდეგ მისი სპექტაკლები მოიხსნა რეპერტუარიდან. სიცრუეა! გასულ სეზონზე ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა ყველა სპექტაკლი, თუმცა, ახალ სეზონზე ვერ ინიშნებოდა ის წარმოდგენები, რომლებშიც მთავარ როლებს ასრულებს ბატონი ზაზა პაპუაშვილი, რადგან, როგორც იცით, ბოლო დროს ეს მსახიობი დაკავებული იყო პოლიტიკური საქმიანობით და თავად ითხოვა გარკვეული პაუზა, რაშიც, რა თქმა უნდა, თეატრის ადმინისტრაციის მხრიდან ჰქონდა სრული ხელშეწყობა და მხარდაჭერა. და კიდევ, ამ სეზონზე სპექტაკლები მოიხსნა მხოლოდ საზოგადოებრივი პროტესტის დროს და ამის შესახებ ადმინისტრაციამ წინასწარ გააკეთა ოფიციალური განცხადება. მეორე არასწორი ინფორმაცია გავრცელდა თეატრის დარბაზებით მომსახურების თაობაზე. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ თეატრში არასოდეს გამართულა ქორწილები და დაბადების დღეები. ყველა სივრცე ეთმობოდა მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის ღონისძიებებს, ისეთებს, როგორებსაც ატარებენ რუსთაველის თეატრის მეგობარი და პარტნიორი, ყველაზე სოლიდური და პრესტიჟული კომპანიები, ასევე დიპლომატიური კორპუსი. ამავე სივრცეებში ხორციელდება უამრავი პროექტი, იმართება უმნიშვნელოვანესი გამოფენები, რომელთა ინიციატორი და ორგანიზატორი, ძირითად შემთხვევებში, სწორედ რუსთაველის თეატრია. რაც შეეხება მცირე სცენას, იგ ყოველთვის ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კონცერტები, სპექტაკლები თუ პრეზენტაციები და ეს ყველაფერი მხოლოდ თეატრისთვის მისაღებ ნორმებში. არაერთი წელია, ამ სცენაზე რუსთაველის თეატრთან თანაარსებობს ჩრდილების უნიკალური, აფხაზური თეატრი „ბუდრუგანა გაგრა“. ბოლო წლების განმავლობაში რუსთაველის თეატრი დარბაზებს უთმობს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს, რომელიც რემონტის გამო დროებით შენობის გარეშეა დარჩენილი. დიდ დარბაზში კი კვირაში ერთხელ, ორშაბათობით, თეატრის დასვენების დღეს, ტარდება მხოლოდ ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორიცაა, მაგალითად, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და ალბათ არავისთვის რთულად გასაგები არ უნდა იყოს, რომ ეს ყველაფერი ისევ და ისევ თეატრში დამატებითი თანხების მოსაზიდად არის საჭირო და ის, ვინც მხოლოდ საპირისპიროს ამტკიცებს, შეიძლება უნებლიეთ ან იქნებ განგებ ახდენს რუსთაველის თეატრის დისკრედიტაციას.

ზაალ ჩიქობავა

დავით საყვარელიძე

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში რობერტ სტურუას მოღვაწეობის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ საგანგებო პრესკონფერენციაზე რეჟისორმა აღნიშნა, საქართველოში დასაბრუნებლად ჯერჯერობით მზად არ ვარო, ფაქტი ჯიუტია. რეჟისორი ამის შესახებ „ფეისბუქშიც“ ხშირად წერდა და აღნიშნავდა, რომ ასეთი შეურაცხყოფის გამო მას საქართველოში დარჩენის და მით უმეტეს მუშაობის არანაირი სურვილი არ ჰქონდა.

– რომც შემომთავაზონ, როგორ შემიძლია, ყველაფერი ასე უცებ მივატოვო? როდესაც მე რუსთაველის თეატრიდან გამომიშვეს, ალექსანდრე კალიაგინმა დახმარების ხელი გამომიწოდა. მაშინ 10-სულიანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ვიყავი და, რომ არა მოსკოვი, არ ვიცი, როგორ იცხოვრებდა ჩემი ოჯახი ეს ერთი წელი. აქვე მინდა დავამატო, რომ ჯერჯერობით საქართველოდან რაიმე სახის კონკრეტული შეთავაზება არ მიმიღია და, როდესაც შემომთავაზებენ, მაშინ განვიხილოთ, – განაცხადა მაესტრომ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია არასოდეს მალავდა, რომ რობერტ სტურუას უსამართლოდ მოექცნენ:

– რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრში დაბრუნება ჩემი იდეაც იყო და საზოგადოების მოთხოვნაც, რომ ეს გენიოსი რეჟისორი, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ქართულ თეატრს, რუსთაველის თეატრში დაბრუნებულიყო და აღდგენილიყო სამართლიანობა. მიმაჩნია, რომ თავის დროზე რობერტ სტურუას უსამართლოდ მოექცნენ.

რუსთაველის თეატრში დაკავებული სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან რობერტ სტურუა კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გასული წლის აგვისტოში გაათავისუფლა, ბრძანების დაწერის მიზეზად კი კულტურის ან უკვე ყოფილმა მინისტრმა რეჟისორის მიერ ქსენოფობიური განცხადებების გაკეთება დაასახელა.

უკან დაბრუნებულმა რეჟისორმა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მმართველის პოსტის დაკავება გადაწყვიტა, ასევე დასის დათხოვნა და ნიჭიერი მსახიობების შეკრება განიზრახა.

– მინდა, რომ შევითავსო მმართველობა და სამხატვრო ხელმძღვანელობა. შეიძლება, იყოს ზაალ ჩიქობავაც. ვერ ვიტყვი, რომ ის არაფერს აკეთებს. მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა მე ვბრუნდები, მჭირდება, ვიყო ცოტა დიქტატორი. დასს დავშლი იმიტომ, რომ მათ პირველ იანვარს ხელშეკრულებების ვადა უმთავრდებათ, მერე თავიდან ავკრეფ და ეს იქნება აკრეფა ნიჭით, – განაცხადა მაშინ რეჟისორმა.

რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას დაბრუნებამდე სამხატვრო ხელმძღვანელის ადგილი ვაკანტური იყო. თეატრის ყოფილი მმართველის ზაალ ჩიქობავას განცხადებით, რობერტ სტურუას წასვლის შემდეგ ეს თანამდებობა არავისთვის შეუთავაზებია. როდესაც რეჟისორი თეატრიდან გაუშვეს, მმართველმა მას თანამშრომლობის ხელშეკრულებაც კი შესთავაზა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ზაალ ჩიქობავას თეატრი უნდა დაეტოვებინა, რობერტ სტურუამ კი დიქტატორობა უკვე დაიწყო – ის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც არის, მმართველიც და დასის თავიდან შეკრების გადაწყვეტილებაც მიიღო.

ზაალ ჩიქობავამ კულტურის მინისტრს განცხადება გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია:

– მიუხედავად ჩემი არაერთგზის მცდელობისა, კანონიერებისა და ადამიანური ურთიერთობის ფარგლებში მოგვარებულიყო პრობლემა, არ გამოვიდა. სამხატვრო ხელმძღვანელის მხრიდან შეიქმნა ხელოვნური კრიზისი, რომლის გამოც ზარალდებიან ის ადამიანები, რომლებიც თეატრს ქმნიან. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენ თავზე აიღოთ პასუხისმგებლობა მომავალში განვითარებულ მოვლენებზე რუსთაველის თეატრში და გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ადასტურებს, რომ დავით საყვარელიძის ადგილზე დირიჟორ გიორგი ჟორდანიას კანდიდატურა განიხილება, თუმცა დაზუსტებული პასუხი ფართო საზოგადოებისთვის სამშაბათს გახდება ცნობილი. კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილება გააპროტესტა თეატრის ორკესტრმა, რომელსაც კანცელარიის დარბაზში რეპეტიცია უნდა ჰქონოდა. რეპეტიცია ჩაიშალა. როგორც თეატრის მუსიკოსებმა განაცხადეს, ასეთი საკითხები თეატრთან შეთანხმებით უნდა წყდებოდეს. სპეციალური განცხადება გააკეთა მთავარმა დირიჟორმა ჯანლუკა მარჩიანომ. თეატრის წარმომადგენლები აპირებენ, ამ საკითხზე კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობასაც შეხვდნენ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტებსა და სიმფონიურ ორკესტრს 26 იანვარსა და 1 თებერვალს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტები უნდა გაემართათ. 26 იანვარს მსმენელისთვის უნდა ემღერათ ირინე ალექსიძეს, ირინე თაბორიძეს, მარიკა მაჩიტიძეს, არმაზ დარაშვილსა და ზაალ ხელაიას. კონცერტის პროგრამაში არიები და სცენები დონიცეტის, ვერდის, ბიზეს, პუჩინის, ჩილეას ოპერებიდან უნდა აჟღერებულიყო. პირველ თებერვალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ირინე რატიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, სულხან გველესიანი და ლეგი იმედაშვილი ვერდის, პუჩინის, ლეონკავალოს, ჩილეას, ჯორდანოს, ფალიაშვილის ნაწარმოებებით უნდა წარმდგარიყვნენ მსმენელის წინაშე. მომღერლებისთვის პარტნიორობა უნდა გაეწიათ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორ ჯანლუკა მარჩიანოს ხელმძღვანელობით.

რაც შეეხება რუსთაველის თეატრს, ზაალ ჩიქობავას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ თეატრის მმართველის მოვალეობის შესრულებასაც რობერტ სტურუას შეითავსებს და მუშაობას იგი უახლოეს მომავალში შეუდგება.

ამ მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებზე საუბრის პარალელურად, კულტურის მინისტრი ეროვნულ მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელის ნიკოლოზ რაჭველისა და საბალეტო დასის ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის საკითხებსაც შეეხო:

– ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გარკვეული პრობლემების მიუხედავად, მისი ხელმძღვანელის თანამდებობიდან ნიკა რაჭველის გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ნიკა რაჭველი ჩვენი მეგობარიცაა და თქვენი მეგობარიცაა. ის ყოველდღიურად დადის სამინისტროში და კონსტრუქციულ საუბრებს ვმართავთ. დღის წესრიგში არ დგას, რომ ნიკამ დატოვოს თანამდებობა, თუმცა მუსიკალურ ცენტრში არსებობს პრობლემები, კერძოდ, მან ერთი ბრძანებით 33 მუსიკოსი გაათავისუფლა. ეს მუსიკოსები ჩვენთან ყოველდღიურად დადიან და ვცდილობთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

რაც შეეხება ნინო ანანიაშვილის თანამდებობას, გურამ ოდიშარიამ განმარტა:

– დღის წესრიგში ასევე არ დგას, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა თანამდებობა დატოვოს.

ეკა ირემაშვილი

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. განსაკუთრებით პატივცემული, გამოჩენილ ადამიანთა საპატიო ტიტული ინდოეთში; 2. გამარტივებული ნახაზი; 3. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 5. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 6. ძილში ნანახი წარმოდგენითი სახეები; 11. ტბა შუა აზიაში; 13. ფარული, საძრახის ხრიკები, რაიმე მიზნის მისაღწევად; 14. შვედური კომეტიკური ფირმა; 15. სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და წარმოების ხელოვნება; 17. კვერცხის მომზადებული კერძი; 18. სამხედრო ფორმის კოსტიუმი; 19. საკერავი მანქანის ნაწილი.

თარაზულად: 7. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 8. ტბა საქართველოში; 9. თურქული აბანო; 10. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 12. გულის მოქმედების რიტმის დარღვევა; 14. შავი და თეთრი შრეებიანი მინერალი; 16. თბილისთან დამეგობრებული ინგლისის ქალაქი; 18. მჟავაგამძლე აგური; 20. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 22. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 23. აფრიკული უკუდო მაიმუნი; 24. ვარდების ბაღი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯუღელი; 2. ალგეთი; 3. დეპარდიე; 4. ემბაზი; 6. კატალოგი; 8. ყირიმი; 11. სოლოლაკი; 12. ფალაური; 16. აჭარა; 17. ბირჟა; 18. ფერმი.

თარაზულად: 1. ჯანაოზი; 5. წალკა; 7. რეზიუმე; 9. ეკლესია; 10. ლამარია; 13. მუხიანი; 14. „ბოინგი“; 15. ვაჩა; 19. ბაბაჭუა; 20. მიუზიკლი; 21. შარლემანი; 23. ციცაგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰორაციო; 2. ლვოვი; 3. ვოლფრამი; 4. ჟიგოლო; 5. კოსტავა; 6. „ჩამპინო“; 11. ჯინსი; 13. „სიმენსი“; 14. ფილიგრანი; 15. კონტრაქტი; 17. ლევილი; 18. ალპები; 19. ჩოხა.

თარაზულად: 7. ხორავა; 8. პოლიქრომია; 9. „ზანავი“; 10. აფროდიტე; 12. კონსილიუმი; 14. ფიასკო; 16. კლემენსი; 18. არლეკინო; 20. შპიგი; 21. ერი; 22. დიასტოლა; 23. ზაქი; 24. ჭაბუკიანი.

აზერბაიჯანის ქალაქ ისმაილლიში არეულობაა

აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ისმაილლიში დემონსტრანტებმა სასტუმრო და სამი მანქანა გადაწვეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, დემონსტრანტების ერთი ნაწილი პარალელურად ისმაილლის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის სახლთან შეიკრიბა და ქვები დაუშინა. ისინი რაიონის თავმჯდომარის ნიზამი ალეკპეროვის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვდნენ. თუმცა ამ უკანასკნელმა ოჯახთან ერთად შეძლო სახლის დატოვება.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია ინფორმაციამ, რომ სასტუმროში არალეგალური ბორდელი არსებობს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, გადამწვარი სასტუმრო და მანქანები სწორედ ალეკპეროვის ოჯახს ეკუთვნის.

პროტესტი გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

აქტივისტები შიშობენ, რომ უკვე დღეს დილიდანვე დემონსტრაციის მონაწილეების წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყება. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ისმაილლიში შინაგანი ჯარების ქვედანაყოფია შესული. რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერი ქვეყნის შრომისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრ ფიზულ ალეკპაროვის ძმაა.

სხვა ვერსიით, არეულობის მიზეზი ავტოსაგზაო შემთხვევა გახდა, სადაც მინისტრის ვაჟის, ვუგარ ალეკპაროვის „ჰამერის“ მარკის მანქანა ფიგურირებს.

კატალონია სუვერენულ სუბიექტად გამოცხადდა

კატალონიის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მიიღო დეკლარაცია რეგიონის „სუვერენულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სუბიექტად“ გამოცხადების თაობაზე. „ევრონიუსის“ ინფორმაციით, ესპანეთიდან ავტონომიის გამოყოფის მომხრეები დოკუმენტის მიღებას მიზნისკენ გადადგმულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად თვლიან. დეკლარაცია ასევე ითვალისწინებს კატალონიის დამოუკიდებლობაზე რეფერენდუმის ჩატარებას.

კენჭისყრაში 85 დეპუტატი მონაწილეობდა. დეკლარაციის მიღებას ხმა 44-მა დაუჭირა, წინააღმდეგი იყო 41.

„ეს ისტორიული კენჭისყრაა. შესაძლოა, მან არ გადაჭრას ჩვენი პრობლემები 24 საათში, თუმცა ის ჩვენს ქვეყანაზე მიზნის მიღწევაში დაეხმარება“, – აღნიშნა კატალონიის ხელისუფლების ხელმძღვანელმა არტურ მასმა.

კატალონია ესპანეთის ავტონომიური რეგიონია. სახელი ცნობილია 1350 წლიდან. კატალონიელთა ქვეყანა, ძველი პრინციპატ დე კატალუნია, მოიცავდა აგრეთვე აღგეროს (სარდინიაში), ანდორას, ჩრდილოეთ კატალონიას ანუ აღმოსავლეთ პირინეების ფრანგულ რეგიონს, ბალეარის კუნძულებს, ვალენსიის რეგიონს. კატალონიის რეგიონში ამჟამად 4 პროვინცია შედის: ბარსელონა, ხერონა, ლერიდა და ტარაგონა.

ფართობი – 31,950 ათასი.

მოსახლეობა – 7 210 508 (2007);

ადმინისტრაციული ცენტრი – ბარსელონა.

ენები – ესპანური, კატალონიური.

საკანონმდებლო ორგანო – 1995 წლიდან აირჩევა 135-წევრიანი პარლამენტი.

ბაშარ ასადი მზადაა, დამასკო გაანადგუროს

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა გაეროსა და არაბული სახელმწიფოების ლიგის სპეციალურ წარმომადგენელთან სირიის საკითხებში ლაჰდარ ბრაჰიმთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ამბოხებულებთან ბრძოლის გზაზე მას ვერაფერი შეაჩერებს, მათ შორის, ვერც ის, თუ ამისათვის ქვეყნის დედაქალაქის განადგურება დასჭირდება. ინფორმაციას ამის შესახებ ერთ-ერთი არაბული გაზეთი ავრცელებს.

ბრაჰიმმა მოუწოდა ასადს, თავისი ნებით დატოვოს პრეზიდენტის თანამდებობა, ვინაიდან ოპოზიციის გამარჯვების ფასი შესაძლოა დამასკოს სრული განადგურება აღმოჩნდეს. ასადმა კი უპასუხა, რომ ომს მოიგებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამასკოს გაანადგურებენ.

შეგახსენებთ, რომ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა ერთ-ერთ წინა ინტერვიუში პირობა დადო, რომ „იცხოვრებს და მოკვდება სირიაში“.

„მე სათამაშო არ ვარ და მე დასავლეთში არ დავბადებულვარ, რომ დასავლეთის ან სხვა რომელიმე ქვეყანაში წავიდე. მე სირიელი ვარ, მე აქ დავიბადე, აქ ვიცხოვრებ და აქ მოვკვდები“, – აცხადებს პრეზიდენტი, რომლის ქვეყანაშიც 2011 წლის გაზაფხულიდან დაწყებულ კონფლიქტს დაახლოებით 60 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში უცხოეთის ჩარევას მსოფლიოში „დომინოს ეფექტი“ მოჰყვება.

„სირიაში უცხოეთის ჩარევა (თუ ასე მოხდა) „დომინოს ეფექტს“ გამოიწვევს, რაც მთელ მსოფლიოზე მოახდენს გავლენას, დაწყებული ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე“.

ასადის ეს კომენტარი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც სისხლისღვრის შეწყვეტის სანაცვლოდ ასადისათვის „უსაფრთხო გასასვლელის“ შეთავაზების იდეა წამოაყენა.

დიმიტრი მედვედევი სამომავლოდ საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ მონაწილეობას არ გამორიცხავს

რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი სამომავლოდ საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ მონაწილეობას არ გამორიცხავს, თუმცა 2018 წელს ვლადიმირ პუტინთან კონკურენციას არ აპირებს.

როგორც მედვედევმა „ბლუმბერგს“ განუცხადა, ის და პუტინი ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები არიან, შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა იყვნენ ისინი ერთმანეთის კონკურენტები.

როგორც ცნობილია, რუსეთის ამჟამინდელ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს საპრეზიდენტო უფლებამოსილება 2018 წელს ეწურება. არსებული ცნობით, იგი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას 2018 წელსაც აპირებს.

დიმიტრი მედვედევი (დ. 14 სექტემბერი, 1965) რუსეთის პრეზიდენტი 2008-2012 წ.წ. რუსეთის პირველი ვიცე-პრემიერი 2005-2008 წლებში. ვლადიმერ პუტინის მესამე ინაუგურაციის დღეს უკვე მოქმედმა პრეზიდენტმა წარადგინა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

ევროსაბჭო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონაში შესვლას ითხოვს

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გუშინ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ რეზოლუცია მიიღო.

„დაშვება, დაშვება და კიდევ ერთხელ დაშვება“, – ასე დაიწყო ასამბლეაზე გამოსვლა მომხსენებელმა თინა აკეტოფთმა. შვედეთის პარლამენტის წევრის თქმით, რომელიც მოხსენებაზე ორი წლის განმავლობაში მუშაობდა, „ცხინვალის რაიონში ძალიან მძიმე მდგომარეობაა და ამ ტერიტორიაზე პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია, ფაქტობრივად, არ ხორციელდება“.

მომხსენებლის თქმით, „ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსი ჯარების ყოფნას ორნაირად აღიქვამენ – აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისათვის ეს გარანტია და უსაფრთხოებაა, ხოლო ქართველებისა და საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილისათვის – იმის ნიშანი, რომ საქართველოს ნაწილი მეზობელი სახელმწიფოს მიერ არის ოკუპირებული“.

სხდომაზე რუსი დელეგატების უკმაყოფილების მიზეზი, როგორც მოსალოდნელი იყო, ტერმინი „ოკუპაცია“ გახდა.

საპარლამენტო ასამბლეა წარმოადგენს ევროპის საბჭოს მეორე მთავარ საწესდებო ორგანოს და გამოხატავს ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ძირითადი პოლიტიკური ძალების ინტერესებს. ამავე დროს, ასამბლეა ევროსაბჭოს ერთ-ერთი წამყვანი ორგანოა, რომელიც ახორციელებს თანამშრომლობას ჩვენი კონტინენტის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა გახდა პირველი და ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული საპარლამენტო ფორუმი ჩვენი კონტინენტის ისტორიაში. თავისუფლად განსაზღვრავს რა საკუთარი დღის წესრიგს, ასამბლეა იხილავს აქტუალური და პერსპექტიული საკითხების ფართო წრეს, რომელიც თანამედროვე საზოგადოების პრობლემებსა და საერთაშორისო პოლიტიკის განსხვავებულ ასპექტებს მოიცავს.

სათათბირო ორგანო წარმოადგენს წევრი ქვეყნების პარლამენტებს. იგი შედგება ეროვნული პარლამენტებისა და არაწევრი ქვეყნების დელეგაციების 313 წევრისა და ამავე რაოდენობის მათი შემცვლელებისგან და წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაციებს ევროსაბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით. საპარლამენტო ასამბლეა იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და აწყობს საჯარო სხდომებს პლენარული სესიების დროს.

დეპარდიეს შემდეგ საფრანგეთიდან შეიძლება სარკოზიც გაიქცეს

ექსპრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ჟერარ დეპარდიესავით დატოვებს სამშობლოს ფრანსუა ოლანდის საგადასახადო რეფორმების გამო. ახალ საცხოვრებელ ადგილად განიხილება დიდი ბრიტანეთი.

როგორც ფინანსურ წრეებში ვარაუდობენ, სარკოზიმ გადაწყვიტა, ლონდონში გახსნას საინვესტიციო ფონდი, რომელშიც 1 მილიარდი ევროს ჩადებას გეგმავს. ამ დროისათვის სარკოზი ბრაზილიელ და სინგაპურელ ინვესტორებთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, სარკოზი, რომელსაც ეკრძალება საფრანგეთის დატოვება მისი საპრეზიდენტო კამპანიის არაკანონიერი დაფინანსების გამოძიებასთან დაკავშირებით, სამუდამოდ დატოვებს პოლიტიკას და საცხოვრებლად გაერთიანებულ სამეფოში გადავა.

ინფორმაცია ფონდის დაარსების შესახებ აღმოჩენილ იქნა პოლიციის მიერ სარკოზის პირად კომპიუტერში, რომელიც გასული წლის ზაფხულში იქნა ამოღებული გამოძიების ფარგლებში. სარკოზისთან დაახლოებული პირები ამ ინფორმაციას უარყოფენ. „აბსურდულია იფიქრო, რომ სარკოზი საცხოვრებლად ლონდონში გადავა და საფრანგეთში შეწყვეტს გადასახადების გადახდას“, – განაცხადა ექსპრეზიდენტის ახლობელმა, ბიზნესმენმა ალენ მინკმა.

დღესვე ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთს ტოვებენ მონიკა ბელუჩი და მისი მეუღლე ვენსან კასელი. წყვილი საცხოვრებლად გადასვლას რიო-დე-ჟანეიროში გეგმავს. მასმედიის წარმომადგენლები ამ ფაქტს სოციალისტ-პრეზიდენტის ინიციატივას უკავშირებენ.

ნიკოლა სარკოზიმ საფრანგეთის პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა 2007 წლის 16 მაისს, მას შემდეგ, რაც არჩევნებში სოციალისტური პარტიის კანდიდატი სეგოლენ რუაიალი დაამარცხა. პრეზიდენტობამდე იყო საფრანგეთის მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის, „კავშირი სახალხო მოძრაობისთვის“ ლიდერი. ჟაკ შირაკის პრეზიდენტობის დროს მას ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ჟან-პიერ რაფარენის პირველ ორ მთავრობაში (2002-2004), იყო ფინანსთა მინისტრი რაფარენის ბოლო მთავრობაში და ისევ შინაგან საქმეთა მინისტრი დომინიკ დე ვილპენის მთავრობაში (2005-2007).

სარკოზი ასევე იყო დეპარტამენტ ო-დე-სენის გენერალური საბჭოს პრეზიდენტი (2004-2007 წლებში) და ნიო-სიურ-სენის მერი (1983-2002). იგი ასევე იყო საფრანგეთის ბიუჯეტის მინისტრი ედუარდ ბალადიურის მთავრობაში ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტობის ბოლო წლებში.

ჩრდილოეთ კორეამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ბირთვულ აფეთქებას ამზადებს

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტმა განაცხადა, რომ ახალ, რიგით მესამე ბირთვულ გამოცდას ჩაატარებს. აღნიშნულ სახელმწიფო უწყებას ქვეყნის ლიდერი კიმ ჩენ ინი ხელმძღვანელობს. „აშშ-სთან დაპირისპირების ახალი ფაზის დროს ჩვენ არ ვმალავთ იმ ფაქტს, რომ თანამგზავრები და შორეული მოქმედების რაკეტები, ასევე მაღალი დონის ბირთვული გამოცდები, დაწყევლილი მტრის, აშშ-ის წინააღმდეგ იქნება მიმართული“, – ნათქვამია კომიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს გაფართოებული სანქციების საპასუხოდ ფხენიანმა განაცხადა, რომ სამხედრო პოტენციალს გააძლიერებს და ბირთვულ პროგრამას განავითარებს. ჩრდილოეთ კორეა კონსტრუქციულ მოლაპარაკებებზე კვლავ უარს ამბობს.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

პარასკევი
25 იანვარი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „როსლეა“ (U) 17.00 დ/ფ „ხელოვნების ინსტიტუტში გატარებული ერთი დღე“ „დაძუს გამოქვაბულის ბარელიეფი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სისხლი და ვარდი“ (U) 21.00 კონცერტი: „ქართული ხმები“ 22.00 „აქცენტები“ 23.30 „წითელი ზონა“ 00.30 ქართ. მხ/ფ „სამანიშვილის დედინაცვალი“ (დრამა. რეჟ: ე. შენგელაია) (U) 02.20 ტ/სერ „შინაგანი უსაფრთხოება“

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ მე-6 ნაწილი 14.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 2 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30, 09.10 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 14.45 სერ. „24 – 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 00.15 მხ/ფ. „დაბრუნება“ (პ.კრუსი) 02.20 მხ/ფ. „გაფდგომილები“ (ჯ.ნიკოლსონი) 04.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 პროფილი (გ/ჩ) 18.30 გათამაშება „ისი პარი“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 21.50 ეროვნული ლატარეა

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „ხსოვნა“ II 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ვინ არის მეოთხე“ 13.35 კონცერტი-რ. გალიანო 14.50, 18.20, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დოკ/ფ „დავით გარეჯი“ 18.10 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „ქართველების თვალით დანახული დაღესტანი“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.30 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 პატრიარქის საიუბილეო საღამო 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური ამბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.30, 0.30 თოქ—შოუ - „კვირის არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.40 ყოველდღიური ამბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6582	ევრო — 2,1994
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870	რუსული რუბლი — 0,0548

ამინდის პროგნოზი 25 იანვრისთვის

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები



მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II

ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი

თეონა ქუმსიაშვილს დაბადების დღეზე გაიხსენებენ

ხევსურეთში ტრაგიკულად დაღუპულ ქართველ მომღერალს თეონა ქუმსიაშვილს მის დაბადების დღეზე, 26 იანვარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიხსენებენ. ამ დღეს თეონა 29 წლის გახდებოდა. ეს ტრადიციაა – ყოველი წლის 27 იანვარს თეონას მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები თუ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ერთად იკრიბებიან და იხსენებენ იმ ნიჭიერ მომღერალს, რომელმაც თავისი ხანმოკლე ცხოვრებით სამუდამოდ დაამახსოვრა თავი ქართული კულტურის მოყვარულებს. ხსოვნის საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ფოლკლორული ანსამბლები და მომღერლები და თეონა ქუმსიაშვილის სიმღერებს შეასრულებენ. პოეტები წაიკითხავენ მის და მისდამი მიძღვნილ ლექსებს, მეგობრები კი მასთან დაკავშირებულ საინტერესო ისტორიებს გაიხსენებენ.

თეონა ქუმსიაშვილი ბავშვობიდან აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ფოლკლორულ კონცერტებსა და ფესტივალებში, იყო ანსამბლის „სიონის ზარები“ სოლისტი, თავად წერდა ტექსტებს საკუთარი მელოდიებისთვის. გამოცემული ჰქონდა სიმღერების სოლო ალბომი „ვეღარც სიმღერით გითხარ ამდენი სიყვარული“. ასევე გამოიცა მისი ლექსების კრებული, სახელწოდებით „მთის ბუმბული“.

მომღერალი ხევსურეთში ავტოკატასტროფას შეეწირა. 2010 წლის 22 ივლისს ხევსურეთში, მუცოს ხეობაში, დღეობის შემდეგ გზად მანქანა გადავარდა ადიდებულ მდინარეში, სადაც 10 ადამიანი იჯდა – თეონა ქუმსიაშვილი და მისი მეუღლე, ხევსური პოეტი და მომღერალი გელა დაიაური 2 შვილთან – 2 წლის დემეტრე და 9 თვის ჯარჯისთან ერთად, თეონას და, ნათია ქუმსიაშვილი, ძმა, თორნიკე ქუმსიაშვილი, ნათესავი თეონა ჭინჭარაული, მეგობარი ბერდია არაბული, მისი მეუღლე სოფიო ღოღობერიძე და მათი 4 თვის შვილი მამუკა. ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა 7 ადამიანი. გადარჩნენ გელა დაიაური, თორნიკე ქუმსიაშვილი და თეონა ჭინჭარაული. დემეტრე დაიაურისა და მამუკა არაბულის ცხედრების პოვნა კი ვერ მოხერხდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გამართულ თეონა ქუმსიაშვილის ხსოვნის საღამოზე დასწრება თავისუფალია.

ეკა ირემაშვილი

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი 25 იანვრისთვის

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, მეტი გექნებათ. **კირჩხიბი** – პატარა სადარდებელი მალე ჩაივლის, დაგავიწყდებათ. **ლომი** – სახლში დიდი სიხარული და საჩუქარი გელით. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – გზიდან ფული მოდის, მალე საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **თხის რქა** – ძვირფას საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **მერწყული** – საღსსამო მშვენიერი იქნება, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **თევზები** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გიხარიათ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. ძველებური, ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 6. ბერიკაობის ერთ-ერთი მონაწილე, დევის ნიღაბი; 8. ციტრუსოვანი მცენარე; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ფრანგი მწერალი; 17. ფრანგი პოეტი „ინტერნაციონალის“ ტექსტის ავტორი; 18. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 13. მონასტერი ყვარლის რაიონში; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. გემის მზარეული; 19. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



დავით საყვარელიძემ და ზაალ ჩიქობავამ თანამდებობები დატოვეს

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა რეჟისორმა დავით საყვარელიძემ და შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ თანამდებობები დატოვეს. როგორც ცნობილი ხდება, ოპერის თეატრის ხელმძღვანელმა ეს გადაწყვეტილება 24 იანვარს გვიან ღამით კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მიიღო. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება მან ხელოვნებისა და ოპერის თეატრის განვითარებასთან დაკავშირებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან განსხვავებული აზრის გამო მიიღო. რეჟისორმა შეთავაზება მიიღო სხვა თანამდებობაზე, რაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ დავით საყვარელიძეს დირიჟორი გიორგი ჟორდანია შეცვლის, რადგან ის საქართველოს პრემიერ-მინისტრის ახლობლად მოიაზ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

გორგოძე საუკეთესოს ტიტულისთვის იბრძოლებს

წლეულს დუბლინში „ჰაინეკენის თასის“ ფინალის შემდეგ სეზონის საუკეთესო მორაგბეს დაასახელებენ. შეჯიბრების ორგანიზატორებმა 15 მორაგბის სია უკვე გააცხადეს. სასიხარულოა, რომ ნომინანტთა შორისაა საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ ლიდერი მამუკა გორგოძე, რომელმაც გუნდი ბოლო ორ ტურში – უკაპიტნა და პლეი ოფში გაიყვანა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ევროპის საუკეთესო მორაგბედ ირლანდიური „ლენსტერის“ ფულბეკი რობ კირნი აღიარეს.

კანდიდატთა სრული სია ასეთია: მამუკა გორგოძე (მონპელიე), სტეფონ არმითიჯი (ტულონი), მორგან პარა, ჟულიენ ბონერი, ვესლი ფოფანა (სამივე კლერმონი), საიმონ ზებო (მანსტერი), რორი ბესტი, რუან პინარი (ალსტერი), ჯო ლანჩბერი (ვოსფსი), მაიკ ბარაუნი, ჟეიმზ ჯონსტონი (ჰარლიქვინზი), დენ კოლი, ჯეფ პერლინგი (ლესტერ ტაიგერზი), ოუენ ფარელი, ჩარლი ჰოჯსონი (ორივე სარასენზი).

მ. ჟ.